ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 16 ივნისი, 2020 №129 (8393) ფასი: 60 თეთრი

## კანონიერი ქურდი თემურ გვასალია სენაკელ ბიზნესმენს 60.000 დოლარს სძალავდა



გვ.5

# „სუსის მიერ დაკავებული რუსეთის მოქალაქე ვასამბეგ ბოკოვი გიორგი გაბუნიას მოკვლას გეგმავდა“



გვ.5





ნიკა გვარამია: „დამკვეთი რამზან კადიროვია“

## „ივანიშვილმა პანდემიის დროს დიდი ფული იშოვა“



გვ.3

გიორგი გუგავა: „ჯერ ქვეყანა გველეშაპისგან უნდა ვიხსნათ და მერე პარტიებს კამათიც გვექნება და იდეების შეჯერებაც“

## გახარია: „2012 წლის შემდეგ საქართველოში არაფერი მიყიდია“

გვ.2





## „წულუკიანიც და გახარიაც შეიძლება პარლამენტში შევიდნენ“

არჩილ გამსახურდია: „ბევრი გაურკვევლობა ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში და ამან შესაძლოა პოტენციურ ამომრჩეველს შეუშალოს ხელი გადაწყვეტილების მიღებაში“



გვ.4

## „ოცნებას“ არჩევნების თარიღის შეცვლა ველარაფერს უშველის“



გვ.3

სალომე სამადაშვილი: „ქართულ ოცნებას“ მინდა ვუთხრა, რომ მათი ოცნება ფუჭია“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 არჩევნების თარიღი გადაიწევს?

4 ბექან ნათელაშვილი: „აშშ-დან ყოველ კრიტიკულ წერილს საქართველოში ახალი კლასტერი მოჰყვება“

5 ლუკა სირაძის საქმეზე ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიური იძულების ფაქტს

6 პრეზიდენტი დუდა: „პოლონეთში გეი ქორწინება არ იქნება და მათ ბავშვის აყვანის უფლება არ მიეცემათ“

# არჩევნების თარიღი გადაიწევს?



პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, რომელმაც არჩევნების თარიღის გადავადებასთან დაკავშირებით დისკუსია პირველმა დაიწყო, გუშინ, 15 ივნისს, დამატებითი განმარტებების გაკეთება მოუწია. ირაკლი კობახიძის განცხადებით, არჩევნების გადადების წინაპირობა მხოლოდ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სურათი იქნება, რის გამოც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება გახდება საჭირო. ამ პირობებში კი არჩევნების ჩატარება კონსტიტუციით აკრძალულია.

მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ოპონენტების ბრალდებებსაც უპასუხა და „ქართული ოცნების" რეიტინგებზე აპელირებას პოლიტიკური სპეკულაციები უწოდა.

ირაკლი კობახიძემ ისიც აღნიშნა, რომ არჩევნების თარიღის კონსტიტუციური ჩანაწერის შეცვლა დღის წესრიგში არ დგას და გუნდში ამაზე არ უმსჯელიათ.

ირაკლი კობახიძის ბრალდების ადრესატები კი მეორე დღეა ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება პანდემიის საბაბით არჩევნების თარიღის შესაცვლელად ემზადება, იმისთვის, რომ ძალაუფლება გაიხანგრძლივოს. მათი შეფასებით, ხელისუფლება დროის მოგებას ცდილობს, რადგან ქვეყანაში შექმნილი სოციალური ფონის გამო მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდება, ამის პარალელურად კი, მმართველი გუნდის პარტიული რეიტინგები იკლებს. ოპოზიციონერები ამბობენ, რომ რეალური საფუძვლის გარეშე არჩევნების თარიღის ცვლილება ძალაუფლების უზურპაციაა და მმართველ გუნდს ამის გამო პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს.

მმართველი პარტიის ლიდერებს პოლიტიკური კალენდრის პირად ინტერესებზე მორგების მცდელობაში სდებს ბრალს დავით ჭიჭინაძე, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის და ფიქრობს, რომ არჩევნებს მმართველი გუნდი კი არ გადაავადებს, არამედ 31 ოქტომბრამდე ჩაატარებს. დავით ჭიჭინაძე არც იმას გამორიცხავს, რომ არჩევნების თარიღთან დაკავშირებული საკითხი დღის წესრიგში მმართველმა გუნდმა კონსტიტუციურ ცვლილებებზე მსჯელობის დროს დააყენოს.

კიდევ ერთი დამოუკიდებელი დეპუტატი ეკა ბესელია კი აცხადებს, რომ მმართველი გუნდი არჩევნების თარიღის გადმოწევას საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე ვერ შეძლებს, საკონსტიტუციო ცვლილებებს კი 113 ხმა სჭირდება.

სახელისუფლებო პარტიის ლიდერებს არასაპარლამენტო ოპოზიცია აფრთხილებს, არ დაუშვან პანდემიით მანიპულირება. ამბობენ, რომ ამომრჩეველმა ფუნდამენტური უფლების გამოყენება კონსტიტუციით დათქმულ ვადებში უნდა შეძლოს.

კონსტიტუციურ ვადებში არჩევნების ჩასატარებლად ემზადებიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც, თუმცა ამბობენ, რომ მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარისთვისაც მზად არიან. როგორც ცესკოში განმარტავენ, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარება მათთვის გამოწვევაა, თუმცა კენჭისყრის დღეს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმები იქნება დაცული.

ქვეყანაში არჩევნების ჩატარების კონსტიტუციური თარიღი ოქტომბრის ბოლო შაბათია. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები დეკემბერში ან იანვარში ჩატარდება, უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივდება მოქმედ პარლამენტს, მეათე მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კი 4 წლის ნაცვლად, თითქმის 5 წლის ვადით დაკომპლექტდება.

## რით პასუხობს ოპოზიცია სააკაშვილის ერთიანი სიის იდეას



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის გაერთიანებას არა მხოლოდ ერთიანობით, არამედ საერთო სიით ხედავს.

პოლიტიკურმა პროცესებმა უკვე აჩვენა, რომ ერთიანობა პროპორციულ მანდატებზე ვერ გავრცელდებოდა. მეტიც, შეთანხმების არეალი ბოლოს თბილისის 8 ოლქამდე დავიდა. ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის გზავნილმა ოპოზიცია ისევ აალაპარაკა.

რა იქნება, თუ ამგვარი ერთობა არ შედგა? – ვიდრე ოპოზიციის ერთ ნაწილს მიხეილ სააკაშვილის კარნახით პოლიტიკის კეთება ცალსახად არ სურს, მეორე ნაწილი ალტერნატივებს განიხილავს.

ეს ალტერნატივა კი, შესაძლოა „გაერთიანებული ოპოზიცია – ძალა ერთობაშიას" ალიანსში გაჩნდეს. „საქართველოს ევროპელი დემოკრატების" თავმჯდომარე პაატა დავითაია ამ პერსპექტივას ნათლად ხედავს, მით უმეტეს, რომ ამ ერთობის სხვა წევრები კატეგორიულ უარზე არ არიან.

ოპოზიციის სხვა წევრები კი აცხადებენ, რომ მთავარი ამოცანა მოქალაქეების თავისუფალი არჩევანია და ორპოლუსიანობა ქვეყანამ წარსულს უნდა ჩააბაროს.

შესაბამისად, ოპოზიციური გაერთიანების ის ნაწილი, ვინც სააკაშვილის იდეას არ იზიარებს, იმასაც ფიქრობს, რომ ეს უფრო მეტად „ქართული ოცნების" სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ვიდრე ოპოზიციის წარმატებისთვის, მით უმეტეს, რომ ერთიანი სია ოპოზიციის მრავალფეროვნების გამო რეალობისგან მოწყვეტილად მიაჩნიათ.

თუ რა გავლენა ექნება მიხეილ სააკაშვილის გზავნილებს ოპოზიციის ნაბიჯებზე, ამ კითხვაზე პასუხი ივნისის ბოლოს გაირკვევა, პარალელურად ოპოზიციამ გადადებული შეხვედრა ისევ უნდა ჩანიშნოს იმ საკითხებზე შესათანხმებლად, რომელიც ჯერ კიდევ ღიად რჩება.

## გახარია: „2012 წლის შემდეგ საქართველოში არაფერი მიყიდია"

– მე, ჩემს მეუღლესთან ერთად საკმაო ფინანსური რესურსი მაქვს დაგროვილი და შექმნილი ჩემს წინა ცხოვრებაში. შესაბამისად, ვერავინ ვერასდროს ვერ მოიყვანს ვერც ერთ მაგალითს, რომ მე, 12 წლის შემდეგ ამ ქვეყანაში რაღაც შევიძინე.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს უპასუხა, როდესაც მისი ქონების თაობაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

გიორგი გახარიას განმარტებით, მის დეკლარაციაში ყველაფერი არის დეტალურად მოყვანილი.

– თქვენ შეგიძლიათ ბევრი სპეკულაცია მოიყვანოთ, მაგრამ ამის უკან არაფერია. ვინმეს რაიმე კონკრეტული ფაქტი თუ გაქვთ, მოიტანეთ რეალურად, ეს ყველაფერი არის ჭორაობა, – განაცხადა გახარიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, ვინ არის გიორგი ციცქიშვილი, რომელიც პრემიერის ქონების ყიდვა-გაყიდვაში ფიგურირებს, გახარიამ აღნიშნა, რომ მას 2012 წლის შემდეგ საქართველოში არაფერი შეუძენია.

– ოპოზიცია ბევრ რაღაცას ამბობს. რეალურად შევედით საარჩევნო ციკლში და სხვა, საერთოდ არაფერი შინაარსობრივი პოლიტიკური რომ არ არის, ახლა, ამ ყველაფერს მოსდევენ. მე, საქართველოში 2012 წლის შემდეგ არ შემიძენია არანაირი უძრავ-მოძრავი ქონება, ერთადერთი მანქანის გარდა, რომელიც შევუძინე ჩემს მეუღლეს.

ერთი რამ მინდა გითხრათ, მე, ჩემს მეუღლესთან ერთად საკმაოდ ფინანსური რესურსი მაქვს დაგროვებული და შექმნილი ჩემს წინა ცხოვრებაში. შესაბამისად, ვერავინ ვერასდროს ვერ მოიყვანს ვერც ერთ მაგალითს, რომ მე, 12 წლის შემდეგ ამ ქვეყანაში რაღაც შევიძინე. ასევე ჩემმა მშობლებმა, მაგალითად, გაასხვისეს რაღაც უძრავი ქონება კახეთში. იქ, სხვა ადამიანი იყო შემძენი. აქ, ეს ადამიანი იყო შემძენი უბრალოდ, უხერხულია, როდესაც ადამიანებს, რომლებიც, როცა იყიდი, მაშინ ეს არის პრობლემა, როცა გაყიდი, მერე ის ხდება პრობლემა, – განაცხადა გახარიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, დამთხვევაა თუ არა, როდესაც ნახსენებია მისი ახლობლის სიძე, გახარია პასუხობს, რომ „რა თქმა უნდა, ეს დამთხვევაა და აქ, ამის უკან არაფერია". „თუ არის სადმე, რამე კანონდარღვევაა, მოიტანეთ ფაქტები".

## „მე სხვა გზა მაქვს, უფრო უტკივნო, მაგრამ ჩემი!"

### ემზარ კვიციანმა პატრიოტთა ალიანსი დატოვა



– გადავწყვიტე დავტოვო პატრიოტთა ალიანსი, – ამის შესახებ დეპუტატი ემზარ კვიციანი სოციალურ ქსელში წერს.

ემზარ კვიციანის განცხადებით, ის ტოვებს საპარლამენტო ფრაქციასაც.

„ჩემო ძვირფასო პატრიოტებო! გადავწყვიტე დავტოვო პატრიოტთა ალიანსი! ეს არ ნიშნავს, რომ მე რაიმე განაწყენებული მივდივარ, უბრალოდ არ მინდა ჩემი გიჟური გადაწყვეტილებებით ვავნო ჩემს მეგობრებს, პატრიოტთა ალიანსის წევრებს! 4 თვე დამრჩა პარლამენტარობა და მაქსიმალურად მინდა დავიხარჯო! არ მინდა ჩემი სარისკო ქმედებით ზიანი მივაყენო ჩემთვის ძვირფას ადამიანებს! მივდივარ პარტიიდან და მივდივარ ფრაქციიდანაც! მინდა ჩემს მეგობრებს ვუსურვო წარმატება პოლიტიკურ და პირად ცხოვრებაში! უფალი გწყალობდეთ და გფარვიდეთ! ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე უნდა გავამძაფრო ბრძოლა ჩვენი ქვეყნის და ქართველობის შესანარჩუნებლად! ქართველთა გადასარჩენად თავგანწირვის გზაზე მინდა დავადგე, ვინც გამომყვება, ღმერთმა დაგლოცოთ, ვინც არა, თქვენც დალოცვილი მეყოლეთ! აღმოჩნდა, რომ მე სხვა გზა მაქვს, უფრო უტკივნო, მაგრამ ჩემი! უფალმა მიმყოფოს ყველა პატრიოტი პატრიოტულად! დიდება ღმერთს!!!" – წერს კვიციანი სოციალურ ქსელში.

## თბილისში 3 კორპუსი აფეთქებას გადაურჩა



თბილისში, სამ უბანში სამი კორპუსი აფეთქებას გადაურჩა. გლდანის მე-8 მკრ-ში, ვაზისუბნის მე-3 მკრ-სა და ვაზისუბნის დასახლება 8-ში მომხდარი ინციდენტები იდენტურია. როგორც „ინტერპრესნიუსს" „თბილისი ენერჯიდან" აცნობეს, სამივე შემთხვევაში ბინაში მცხოვრებლებმა უყურადღებოდ, ჩართულ მდგომარეობაში დატოვეს გაზის ონკანები, საიდანაც ბუნებრივი აირი ჟონავდა და ოთახში გროვდებოდა.

მათივე ცნობით, ინციდენტის ადგილებზე მისულმა „თბილისი-ენერჯის" სწრაფი რეაგირების სამსახურის -114 -ის თანამშრომლებმა, ლაზერული აპარატით შეამოწმეს სადარბაზოები და ლიფტის შახტები. „თბილისი ენერჯის" სპეციალისტებმა უსაფრთხოების მიზნით გადაჭრეს გაზი და გაანიავეს საცხოვრებელი ფართი.

„სამივე კორპუსში, სადაც გუშინ რამდენიმე მობინადრემ გაზის მოხმარების წესები დაარღვია, ათეულობით ოჯახი ცხოვრობს, რომელთა უსაფრთხოება და სიცოცხლე სერიოზული რისკის ქვეშ დადგა. „თბილისი ენერჯი" გაფრთხილებთ – დაიცვათ ბუნებრივი გაზის უსაფრთხო მოხმარების წესები, გაუფრთხილდით თქვენი ოჯახის წევრების და მეზობლების სიცოცხლეს. საქართველოს კანონმდებლობით ყველა მობინადრე თავად არის პასუხისმგებელი მის ფართში გაზის მოხმარების უსაფრთხოების წესების დარღვევაზე. გაუფრთხილდით საკუთარ სიცოცხლეს, გაუფრთხილდით მეზობლების სიცოცხლეს, ნუ დატოვებთ გაზის ონკანებს ჩართულ მდგომარეობაში, უყურადღებოდ.

„თბილისი ენერჯი" გისურვებთ ჯანმრთელობას" – ნათქვამია ინფორმაციაში.

## „ეს არის საქართველოს შანსი, ჩაატაროს კარგი არჩევნები უცნაურ ვითარებაში"

### რისი იმედი აქვს კელი დეგნანს



ამერიკის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი თვლის, რომ საქართველოსთვის არჩევნები საუკეთესო შანსია აჩვენოს მსოფლიოს და დაარწმუნოს, რომ ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს პროგრესისთვის.

ელჩის თქმითვე, საქართველო მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინშია.

– ეს არჩევნები მნიშვნელოვანია და საქართველოს აქვს შანსი მსოფლიო დაარწმუნოს, რომ ქვეყანას აქვს დიდი პროგრესი; რომ ყოველი არჩევნები უკეთესია, ვიდრე წინა. ველოდებით მნიშვნელოვან ცვლილებას საარჩევნო სისტემის კუთხით. ეს არის საქართველოს შანსი, ჩაატაროს კარგი არჩევნები უცნაურ ვითარებაში. ჯერ არ არის დრო დაზუსტებული ვირუსის გავრცელების გამო" – განაცხადა კელი დეგნანმა.

## სროლა და ქუჩური გარჩევა ახალქალაქში



გუშინ, 15 ივნისს, ქუჩური გარჩევა და სროლა იყო ახალქალაქის ცენტრში.

ცეცხლი პოლიციამ გახსნა, რადგან ქუჩური გარჩევის შეჩერება ვერაფრით შეძლო.

ხალხმრავალ ადგილას ერთმანეთს „ქართული ოცნების" დეპუტატის, ენზელ მკოიანის ე.წ. დაჯგუფების წევრები და რიგითი მოქალაქეები დაუპირისპირდნენ.

ჩხუბის შედეგად დაშავდა მამაკაცი, რომელიც ფეხის მრავლობითი მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციით, კონფლიქტში ადგილობრივი გამგეობის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ არჩევნების თარიღის შეცვლა ვერაფერს უშველის“

## სალომე სამადაშვილი: „ქართულ ოცნებას“ მინდა ვუთხრა, რომ მათი ოცნება ფუჭია“

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი სალომე სამადაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებზე — არჩევნების თარიღის შესაძლო გადახედვაზე საუბრობს.**

***– ქალბატონო სალომე, „ქართული ოცნების“ ლიდერები არ გამორიცხავენ არჩევნების გადადებას და ისინი არჩევნების შესაძლო გადაწევას, შექმნილ ეპიდემიურ ვითარებას უკავშირებენ. რამდენად ხედავთ ამ მოცემულობას?***

– „ქართულ ოცნებას“ აშკარად სურს არჩევნების თარიღის მანიპულირების შესაძლებლობის გაჩენა. როგორც ჩანს, ისინი სწორედ ამისთვის აკეთებენ ამ განცხადებებს. ამიტომ ჩნდება ვერსიები, ხან თითქოს არჩევნების დეკემბერში ჩატარების, ახლა მოვისმინე ახალი ვერსია, რომ ადრე უნდათ ჩაატარონ არჩევნები. თითქოს, ეს რაღაცას უშველის მათ, მაგრამ ვერაფერს ვერ უშველით.



ეს არის სწორედ დამატებითი ფაქტორები, რომ იფიქრონ გლობალური პანდემია მათ აძლევთ არჩევნების თარიღით მანიპულირების შესაძლებლობას.

***– და რაში აძლევთ ეს ხელს?***

– რეალურად არაფერში, მაგრამ ცდილობენ შექმნან შესაძლებლობა, რომ პანდემია სათავისოდ გამოიყენონ, მაგრამ ამას ვერანაირად ვერ შეძლებენ. ვერ შეძლებენ ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური რეალობის გათვალისწინებით. ეს მხოლოდ ფუჭი მცდელობებია და ამ მცდელობებს ვუყურებთ ჩვენ.

***– თუ ეპიდემიური ვითარება გაუარესდა, ამ შემთხვევაში როგორი შეიძლება იყოს პოზიცია?***

– არსებული მონაცემებით, ნამდვილად ვერ ვიმსჯელებთ ხვალ რა იქნება, მაგრამ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, არ ჩანს რაიმე საფრთხე იმისა, რომ ეპიდემიური ვითარება გაუარესდეს და ქვეყანა მართლაც დადგეს მზარდი საფრთხის წინაშე, რომ საჭირო გახდეს განსაკუთრებული ზომების მიღება. რეალურად ასეთი მოცემულობა არ ჩანს.

***– თუ ადრე დაინიშნა არჩევნები, ამისთვის რამდენად იქნება ოპოზიცია მზად?***

– „ქართულ ოცნებას“ მინდა ვუთხრა, რომ მათი ეს ოცნება საკმაოდ ფუჭია. ფუჭია, იმ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება. ამიტომ, მე გამოვრიცხავ, რომ ამ მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ მოინდომის არჩევნების ჩატარება.

ისე, როცა არ უნდა დაინიშნოს არჩევნები, ადრე თუ გვიან, თუ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში, „ქართულ ოცნებას“ არ მგონია, რაიმე შანსი გააჩნდეს.

***– ხელისუფლება ამ არჩევნების მოგებაზე საუბრობს ნებისმიერ ვადაში. მეტიც, რომ ერთპიროვნულად კვლავ ის დააკომპლექტებს მთავრობას.***

– გასაგებია ეს გზავნილი. სხვანაირად როგორ ისაუბრებს არჩევნების წინ პოლიტიკური პარტია?! დიახ, ასეთ განცხადებებს ისინი თავიანთი ამომრჩევლისთვის აკეთებენ. მე ვიტყოდი ფანტასტიკის სფეროდან აკეთებენ ამ განცხადებებს, მაგრამ რეალურად, მათ ყველაზე კარგად იციან, თუ როგორი ვითარება არის ქვეყანაში შექმნილი. სწორედ ამიტომ დაიწყეს მზადება იმისთვის, რომ რაიმე შესაძლებლობა ჰქონდეთ მანიპულაციის გზით არჩევნების თარიღი მათ სასარგებლოდ გადაიხედოს.

***– ქალბატონო სალომე, რამდენად რეალური შეიძლება იყოს მიხეილ სააკაშვილის იდეა ერთიან სიებთან დაკავშირებით, რომელსაც უკვე მოჰყვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან გამოხმაურებები?***

– ჯერჯერობით ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას არ გამოუხატავს თავისი პოზიცია ერთიან საარჩევნო სიასთან დაკავშირებით.





თუმცა, ერთიანი საარჩევნო სია, ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს თავად სუბიექტებს შორის შეთანხმებას. შესაბამისად, თუ ასეთი შეთანხმება ვერ მოხდება, ცხადია, ერთიან სიებზე საუბარიც ვერ იქნება.

***– ყველაზე რელევანტური მაჟორიტარულ ოლქებზე შეთანხმებაა?***

– მაჟორიტარულ ოლქებთან დაკავშირებით უკვე არსებობს შეთანხმება, რომელიც თბილისს შეეხება. ხოლო რაც შეეხება რეგიონებს, იქ, ჩვენ, ნაციონალური მოძრაობა აპირებს საკუთარი კანდიდატების წარდგენას.

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა პანდემიის დროს დიდი ფული იშოვა“

## „ჯერ ქვეყანა გველეშაპისგან უნდა ვიხსნათ და მერე პარტიებს კამათიც გვექნება და იდეების შეჯერებაც“

იაგო ნაცვლიშვილი

**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ შესაძლოა არჩევნები ოქტომბრის ნაცვლად დეკემბერში გაიმართოს. მისმა ამ განცხადებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში იმის თაობაზე, რომ ხომ არ ცდილობს მმართველი გუნდი ძალაუფლების ხელოვნურად გახანგრძლივებას.**

ემზადება თუ არა ოპოზიცია ამგვარი სცენარისთვისაც და ფიქრობენ თუ არა, რომ ეპიდემიოლოგიურ ვითარებას „ქართული ოცნება“ თავის სასარგებლოდ იყენებს? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა** საუბრობს:

***– ირაკლი კობახიძისგან მოვისმინეთ უცნაური განცხადება, რომ შესაძლოა არჩევნები დეკემბრამდეც კი გადაიდოს და 20 ივნისის აქციისთვისაც ხომ არ ელოდებით ხელის შემშლელ ფაქტორებს ხელისუფლების მხრიდან?***

– პანდემია ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის გამოიყენა, რომ დიდი ფული იშოვეს სიტუაციის გამოყენებით.

***– ფული როგორ იშოვეს?***

– მაშინ, როდესაც მთლიანად გადაკეტილი იყო ქვეყანა, ერთი წუთით არ გაჩერებულა ივანიშვილის საწარმოები, მათ შორის ოქროს მომპოვებელი საწარმო, რომელმაც ამ პერიოდში 200 მილიონამდე მადანი და სხვა კონცენტრანტები გაიტანა საქართველოდან. ამავე დროს, როდესაც დაიკეტა აგრარული ბაზრები, მთელი საქართველო მიაბეს „კარფურზე“. მას პრაქტიკულად მისცეს ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება და მილიონები იშოვეს. მე არაფერს ვამბობ საშუამავლო ბიზნესზე, რომელსაც ექსკლუზიურად პროდუქტი გამოჰქონდა მარნეულიდან, ყიდულობდა იაფად და ათმაგ ფასად იყიდებოდა სუპერმარკეტებში.

***– ანუ, მონოპოლია შეუქმნეს ივანიშვილის ბიზნესებს და კორუფციაზეც მიანიშნებთ?***

– მეტსაც გეტყვით. ბოლო გადაწყვეტილებები, რომელიც იყო, იმის ნაცვლად, რომ ხალხს დახმარებოდნენ და ეფექტიანი სოციალური მხარდაჭერა განეხორციელებინათ ადამიანებისთვის, მაშინ როდესაც, მთელ ქვეყანას შიდა პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ამის ნაცვლად გადაწყვიტეს, რომ ეს თანხები გაუშვან სამშენებლო ბიზნესზე. თურმე ჩვენ ფული უნდა გადავუხადოთ მათ, ვისაც 200 000 და ზემოთ ღირებულების ბინას იყიდის და მას სესხებს დაუფარავს სახელმწიფო. ესეც არის კორუფციის ნათელი მაგალითი.

რაც მთავარია, 3 მილიარდი ისესხეს და კვლავ გაიზარდა ჩვენი საგრეო ვალი და უკვე 27 მილიარდს შეადგენს, რაც ჩვენი და ჩვენი შვილების გადასახდელია.

***– ესეც ჯიბეში ჩაიდეს?***

– რა თქმა უნდა. როგორც გურულები იტყვიან, ეს გახაზინებულია იმისათვის, რომ ეს თანხა აითვისონ, მოიპარონ, ჯიბეში ჩაიდონ და ვალად დაგვიტოვონ ჩვენ. საგარეო ვალი „ოცნების“ ხელისუფლებამ დაახლოებით სამჯერ გაზარდა და წესით, უნდა გვქონდეს აყვავებული ეკონომიკა, სამჯერ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების დონე, მაგრამ გვაქვს? სად გაქრა ეს თანხები. ეს იყო პანდემიის გამოყენების ერთი მხარე.





რაც შეეხება მეორე მხარეს, პოლიტიკურად მოხდა ამ საკითხებისა. მოგეხსენებათ, კომენდანტის საათი იყო გამოცხადებული, აკრძალული იყო ადამიანის ძირითადი უფლებების გამოყენება. ბევრი ასეთი ღონისძიება არავითარ კავშირში არ იყო პანდემიასთან საბრძოლველად. კომენდანტის საათის დაწესება რა შუაში იყო პანდემიასთან? ამ რიგს მიეკუთვნება ეს საკითხიც, რაც თქვენ მკითხეთ. როდესაც გრძნობენ, რომ საზოგადოებაში მხარდაჭერა არ გააჩნიათ, შეიძლება შექმნან ფანდი, თითქოს პანდემიამ იფეთქა და ამ მოტივებით გადადონ არჩევნები და ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივონ.

***– ოპოზიციაში მსჯელობთ ამ საკითხებზე? და რას დაუკავშირებთ თუ მართლა განახორციელებენ ამას?***

– ეს იქნება აბსოლუტურად უკანონო, ხელისუფლების უზურპირება და კონსტიტუციის დარღვევა. ამიტომ ამას უნდა დაუპირისპირდეს ოპოზიცია და მთლიანად საზოგადოება. ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ მანიპულაციის შესაძლებლობა.

***– როგორ? რა ფორმებით?***



– პოლიტიკური ფორმებით. უამრავი პოლიტიკური საშუალება არსებობს.

***– მათ შორის აქციებითაც?***

– რა თქმა უნდა. როდესაც კორონადიქტატურა ფორმდება ქვეყანაში და ხდება ძალაუფლების მიტაცება, ამას არ უნდა შევურიგდეთ. როდესაც ძალაუფლების უზურპირება ხდება, დიქტატურა ესაა, სხვა კი არაფერი.

***– ისევ გამოგიცხადებენ საგანგებო მდგომარეობას და მოქალაქეებს ეტყვიან არ გამოვიდნენ. ვინც გამოვა, მათ დააკისრებენ 3000-ლარიან ჯარიმებს. როგორ გამართავთ აქციებს?***

– ასე რომ იმართებოდეს პოლიტიკური პროცესი და მისი ღერძი იყოს მხოლოდ ხელისუფლების მითითების საშუალება, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამის განხორციელება, მაგრამ როდესაც საქართველოში არის თავისუფლების მოყვარე ხალხი და ამისთვის ვიბრძვით და უამრავი სისხლი დაიღვარა ამ თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის მოსაპოვებლად, ტყუილად აქვთ იმედი, რომ ასეთი ძალისმიერი პოლიტიკური ხრიკებით შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. საქართველოში დიქტატურა ვერ გაფორმდება. ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს და ვისაც ამის მცდელობა ჰქონდა, ძალიან მძიმედ დაასრულა.

***– რა ვითარებაა ოპოზიციაში, როდის გეგმავთ შეკრებას და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობას?***

– ეს სიტუაციის შესაბამისად გადაწყდება. როდესაც აუცილებლობა დადგება, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით მოხდეს კოორდინირება და ერთნაირი პოზიციის ფორმირება და გადაწვეტილების მიღება, ამის შემდეგ შევიკრიბებით. წინასწარ დაგეგმილი არ არის შეხვედრა.

როდესაც სიტუაცია მოითხოვს, შევიკრიბებით და მოხდება ერთიანი პოზიციების შეჯერება, მათ შორის მაჟორიტარებთან დაკავშირებითაც. დარწმუნებული ვარ, რომ მალე გახმოვანდება ერთიანი პოზიცია.

***– სააკაშვილმა შემოგთავაზათ ინიციატივა ერთიან სიასთან დაკავშირებით, რასაც უარყოფითად უპასუხეთ გარკვეულმა პარტიებმა. ამის შემდეგ მისგან მოვისმინეთ განცხადებები, რომელიც საკმაოდ კრიტიკული იყო. ოპოზიციაში ხედვებზე რაღაცა კრიზისი ხომ არ გაჩნდა?***

– არა, ეს არის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ზოგს ეს საკითხი მიაჩნია სწორად იმისათვის, რომ დავამარცხოთ ეს რეჟიმი, ზოგს – არა. ერთ მთავარ რამეზე ვართ შეჯერებული, რომ დასრულდეს ოლიგარქიული, მანკიერი, მახინჯი სისტემა და ივანიშვილის გაყვანა ხელისუფლებიდან, რადგანაც ის საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისეთი პოლიტიკური სისტემაა ქვეყანაში, მათ შორის კონსტიტუციითაც, რომელიც მრავალპარტიულობის შესაძლებლობას იძლევა. ასეთ დროს ერთიანი სიით გამოსვლა ივანიშვილს აძლევს შესაძლებლობას, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. მოახდინოს პოლარიზება და ამაში თვითონ გაიმარჯვოს. ყველას ჰყავს თავისი ამომრჩეველი, პროგრამა, ხედვები... აქედან გამომდინარე მომავალი პოლიტიკური ლანდშაფტი მრავალფეროვანი უნდა იყოს. ერთი პოლიტიკური ძალის დომინაცია უნდა დასრულდეს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ურთიერთბალანსზე დაფუძნებულ სისტემა შევქმნათ. ეს გამოიწვევს ურთიერთკონტროლს. ამით არა მხოლოდ ერთი ძალის მონოპოლიზაცია დასრულდება, არამედ ეკონომიკასა და ბიზნესშიც გამოიწვევს იმას, რომ მონოპოლიები არ იყოს.

***– სააკაშვილის ტერმინოლოგია თქვენთვის მისაღებია, როცა ამბობს, რომ ჩემამდე ბევრი აკლიათ და მე ნუ მეჯიბრებიანო. დაახლოებით ასე ჟღერს მისი განცხადებები.***

– არავინ არავის არ ეჯიბრება და არავინ არავის არ ეტოლება. ეს არის ტაქტიკური საკითხები.

***– ეს გასაგებია, მაგრამ მისი ტერმინოლოგია თქვენთვის მისაღებია?***

– ყველას აქვს საკუთარი ტერმინები და დამოკიდებულებები. ჩვენ სუვერენული პარტიები ვართ და შეხედულებები გაგვაჩნია. ზოგი რა ფორმით გამოხატავს ამ შესაძლებლობებს და ზოგი რა ფორმით, ეს მისი გადასაწყვეტია. ოპოზიციის კოორდინაციაა მთავარი, რომ ამ ბრძოლაში კოორდინირებულად იმოქმედოს და ასე დაამარცხოს ოლიგარქი, თორემ ვინ როგორ გამოხატავს თავის აზრებს, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

***– ალბათ არ საუბრობთ ამაზე, რადგან არ გსურთ ოპოზიციაში იმაზე მეტი დაპირისპირება შეიტანოთ, ვიდრე დღეს არის...***

– მთავარი მიზანი უნდა იყოს ეს, რომ ქვეყანა გამოვიხსნათ ამ გველეშაპისგან. ოპოზიციურ პარტიებს შემდეგ ექნებათ პლატფორმა იმისათვის, რომ ურთიერთკამათიც გვქონდეს და იდეების შეჯერებაც. ეს მომავალი ეტაპია. მიზანი არის ის, რომ ერთიანი ძალისხმევით ოლიგარქიული რეჟიმი გავისტუმროთ პოლიტიკურ მოუსავლეთში და მერე ყველას პასუხი მოეთხოვოს იმაზე, ვის რა მიუძღვის – ვინ რა დაუშავა ამ ქვეყანას და რა წაგლიჯა. ეს უნდა გაირკვეს თავისუფალი დეპოლიტიზირებული და ობიექტური სასამართლოს მიერ.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს,**
**ნახატ სურათებს,**
**ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# „წულუკიანიც და გახარიაც შეიძლება პარლამენტში შევიდნენ“

## არჩილ გამზარდია: „ბევრი გაურკვევლობა ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში და ამან შესაძლოა პოტენციურ ამომრჩეველს შეუშალოს ხელი გადაწყვეტილების მიღებაში“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს არჩილ გამზარდია პასუხობს.**



***– არჩილ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უკვე კეთდება განცხადებები, რომ შესაძლოა არჩევნები დეკემბერში ჩატარდეს. რამდენად ხდება პანდემიით მანიპულირება, თუ მართლა არის ეს მოცემულობა, რომ საჭიროა არჩევნების გადადება?***

– თეორიულად სრულიად შესაძლებელია, რომ სრულიად ობიექტური მიზეზების გამო მოხდეს არჩევნების გადადების აუცილებლობა. სიტუაციიდან გამომდინარე გადაწყდება, ეს დეკემბრამდე მოხდება თუ უფრო იანვრამდე. შესაძლოა, განაცხადონ, რომ დეკემბრამდე, მაგრამ სიტუაცია იყოს ისეთი, რომ კიდევ გადადება დასჭირდეს. ჩვენთან პრობლემა არის არა მხოლოდ ამაში, არამედ იმაში, რომ ხელისუფლების მიმართ ნდობა ისეთი დაბალია, რომ ობიექტური გარემოებაა მართლაც თუ ხელისუფლება სარგებლობს და თამაშობს სტატისტიკით, აი ეს კითხვები ჩნდება. ჩვენი ნდობა ხელისუფლების მიმართ დაბალია და აქედან გამომდინარე ჩვენ ასე მარტივად არ ვიღებთ ხოლმე მათ გადაწყვეტილებებს.

***– ბოლო დღეებია საგრძნობლად იმატა ინფიცირების შემთხვევებმა. ითქვა ისიც, რომ ხელისუფლებას 20 ივნისის აქციის გამართვის ეშინია და ამიტომ სიტუაციას ამძიმებენ შეგნებულადო. რამენად არის ეს მოცემულობა?***

– 20 ივნისის აქციის მიმართ შიშის ფაქტორი მაინცდამაინც ზუსტი არა მგონია.

***– პროტესტის ახალი ტალღის აგორება არ უნდა ხელისუფლებასო.***

– პროტესტის ახალი ტალღის აგორებას სჭირდება ახალი კონკრეტული მიზეზები. უბრალოდ სიმბოლური თარიღების აღნიშვნა და იმის თუნდაც ხელახლა განცხადება, რომ რას აკეთებს ხელისუფლება, ან რა გააკეთა გასულ წელს, მე ვფიქრობ, რომ ამას ახალი ტალღის აგორების რესურსი არ გააჩნია. ეს შეიძლება იყოს სრულიად ნორმალური აქცია, რომელსაც დინამიკა და გაგრძელება ნაკლებად ექნება. ჩვენ რომ საპროტესტო აქციების თვისობრიობას შევხედოთ, საპროტესტო აქციას ყოველთვის სჭირდება რაღაცა კონკრეტული მიზეზი, რომელიც საზოგადოებას აღაშფოთებს.

***– დღეს ასეთი არაფერი ხდება?***

– დღეს, ყველაფერი შეიძლება იყოს პროტესტის საგანი, მაგრამ ასეთი თვისობრიობას და იმ კონკრეტული მომენტისათვის, საზოგადოების აღშფოთების საფუძველს გულისხმობს. თუნდაც გავიხსენოთ ბოლო საპროტესტო აქციები, ეს იყო სარალიძის თემა, ეს იყო გავრილოვის თემა, თავის დროზე ეს იყო ბასიანის თემა, რომელიც ასევე ძალიან კონკრეტულ ამბავს მოყვა. თორე, განა ზოგადი მიზეზები არ არის, ამ ქვეყანაში მით უმეტეს... უბრალოდ ასეთი საპროტესტო კამპანიის და ასეთი ესკალაციის შესაძლებლობას ქმნის ძალიან კონკრეტული, იმ დროისათვის მომხდარი მოვლენა, რომელიც საზოგადოების მძაფრ აღშფოთებას იწვევს. ახლა კი ასეთი მომენტი ნაკლებად არის.

***– არჩილ, რამდენად აწყობს ხელისუფლებას არჩევნების გადადება?***

– მე ადრეც ვთქვი, ხელისუფლებას ან ძალიან დროული ჩატარება აწყობს, სანამ ერთგვარი წარმატებულობის ფაქტორი გააჩნია, ან პირიქით, საკმაოდ იქით გადადება, თუკი გააცნობიერებს, რომ მას ძალაუფლების შემცირება დასჭირდება, დათმობაზე არ ვლაპარაკობ, უბრალოდ გავლენების შემცირების გამოც გადადებენ არჩევნებს. თუ გააცნობიერებენ, რომ ეს გარდაუვალი პროცესია, მაშინ არჩევნებს გადადებენ და ამ პროცესს მაქსიმალურად გაახანგრძლივებენ. საერთაშორისო პარტნიორების ჩარევის ფონზე და ასე შემდეგ, თუკი ხელისუფლება დარწმუნდა იმაში, რომ მას მოუწევს ძალაუფლების წილის დათმობა და მნიშვნელოვანი წილის, თუ ეს ფაქტორი მას ძალიან არ უნდა, მაშინ შესაძლოა მაქსიმალურად შეეცადოს გაიხანგრძლივოს ძალაუფლების ეს მოცემულობა.

***– არჩილ, ასევე გამოდის ინფორმაციები, რომ „ოცნებას“ ძალიან უჭირს სიის დაკომპლექტება, არ ყავთ მომგებიანი სახეებიო. ასევე გუნდში არსებულ დაპირისპირებებზე საუბრობენ. ამაზე რას იტყვით?***

– ჩვენ, რომ 2016 წლის სიას შევხედოთ, იყო ის სია რაიმე კონკრეტულის მომცემი? თუნდაც „ოცნების“ ელექტორატისათვის?! იქაც ბიძინა ივანიშვილს მისცეს ხმა, თვითმმართველობის არჩევნებზეც ბიძინა ივანიშვილს მისცეს ხმა, ასევე საპრეზიდენტო არჩევნებზეც ბიძინას მისცეს ხმა. შესაბამისად, რომ ვთქვათ ახლა, რომ ეს სახეები რაღაცა მნიშვნელოვან ღირებულებას ატარებს, ალბათ ასე არ არის.

***– რამდენდ არის დღეს ის მოცემულობა, რომ ისევ ბიძინას ხარჯზე გაიტანონ თავი?***

– „ოცნებას“ თავის ამომრჩეველში მაინც ბიძინა ივანიშვილის ხარჯზე მოუწევს ხმების აკრეფვა. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას შესაძლოა უკვე აღარ ყოფნიდეს საზოგადოებრივი მხარდაჭერა. როდესაც ვსაუბრობთ, რომ სიის დაკომპლექტება უჭირთ, აქ უნდა გავითვალისწინოთ ამ გაჭირვებაში რა შედის. ისეთი სახეების პოვნა, რომელიც „ქართული ოცნების“ ელექტორატს აწევს, პასიურ ამომრჩეველს განამტკიცებს და სხვა პარტიებზე არ გადაანაწილებს. ასეთ პარტიებად, ვისაც შეუძლია „ქართული ოცნების“ ელექტორატი წაიღოს, არის „ლელო“ და პატრიოტთა ალიანსი. თუ ამ ყველაფერს ითვალისწინებს „ოცნება“ და ამიტომ მომგებიან სახეებს ეძებს, ეს ერთია და მეორეა, რომ ყველას თავისი გავლენის შენარჩუნება უნდა შიგნით, თავისი კვოტა უნდა და შეაძლოა სწორედ ამის შეუთანხმებლობა უფროა. როდესაც საუბარია უჭირთ, აი ეს გაჭირვება უფრო აქვთ და ჩემთვის ეს უფრო დამაჯერებელია.

***– ბოლო პერიოდია აქტიურად სახელდება წულუკიანის და გახარიას გვარები სიის პირველ ნომრად, რომელი უფრო მომგებიანია „ოცნებისთვის“?***

– გახარია, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისათვის მომგებიანი სუბიექტია. იქ არის კიდევ რამდენიმე სახე, წულუკიანი, თავის დროზე ღარიბაშვილიც, რომელიც დღეს ბევრად ჩამქრალია, როგორც ლიდერი, თუმცა თავის დროზე „ოცნების“ ამომრჩეველი მის მიმართ ძალიან დადებითად იყო განწობილი. ეს სახეები მათთვის მნიშვნელოვანია. ახლა იმის გაზომვა, წულუკიანი თუ გახარია, ალბათ ძნელია. შეიძლება რაღაც თანაბარი პარიტეტი ჰქონდეთ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველში. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, წულუკიანი იქნება თუ გახარია. ეს უფრო შიდა გავლენების ფაქტორით შეირჩევა, პირველი ნომერი სიმბოლურად ვინ იქნება. სულაც არ არის გამორიცხული, რომ წულუკიანიც და გახარიაც პარლამენტში შევიდნენ და შემდეგ ისევ აქედან ავიდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

***– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? იქაც დიდი დაპირისპირებაა, რამდენად შეძლებენ შეთანხმებას?***

– გაერთიანებული ოპოზიცია კი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ საარჩევნო ნაწილამდე რომ დავიყვანოთ, ოპოზიციის სტატუსით, მინიმუმ სამი სუბიექტი იღებს მონაწილეობას. ეს არის პატრიოტთა ალიანსი, ლელო და გაერთიანებული ოპოზიცია. რაღაც მნიშვნელოვანი ნაწილი კი არის ერთად თავმოყრილი, მაგრამ ერთიანი კანდიდატები ოპოზიციას არ ეყოლება, ერთიანი სია არ ექნებათ. მინიმუმ რამდენიმე ოპოზიციური სუბიექტი იარსებებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, ეს ასე მარტივად არ არის. ამდენ სუბიექტს კი ვერ აიტანს ეს პროცესი, ამიტომ ვიღაცებს მოუწევთ ამბიციების დათმობა, გადადება, მაგრამ გადადებენ თუ არა, საკითხი ასე ისმის. ხოლო ეს ვის წისქვილზე დაასხამს წყალს, საკითხი ასე ისმის. არც ის არის გამორიცხული, რომ ბიძინას ოპოზიციის შიგნით თავისი აგენტურული ქსელი ჰყავდეს და ამით ცდილობდეს შიგნით სიტუაციის არევას. ჯერ კიდევ ბევრი გაურკვევლობა ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში და ამან შესაძლოა პოტენციურ ამომრჩეველს შეუშალოს ხელი გადაწყვეტილების მიღებაში.

***– 2020-ის არჩევნები ის არჩევნები იქნება, როდესა გადაჭრით ვერ იტყვი, რა მოხდება? არც „ოცნებას“ აქვს შანსი, რომ ერთპიროვნულ მმართველად მოვიდეს?***

– „ოცნებას“ ასეთი გარემო ფაქტორებით, უმრავლესობით მოსვლის შანსი აქვს, მაგრამ თუ უმრავლესობით ვერ მოვა, მაშინ აქვს იმის შანსი, რომ იყოს დომინანტი და შემეგ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებთან გარიგებებით პოლიტიკური ვაჭრობები ატაროს. აი ოპოზიციის ეს წილი კიდევ ცალკე თემაა, გამოდის, რომ ოპოზიციის ერთ ნაწილს, „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა ულირს.

***– ანუ ოპოზიციაში არიან ისეთები, ვინ წავლენ ხელისულებასთან თანამშრომლობაზე?***

– არის, რა თქმა უნდა, და ეს ლოგიკურიცაა. ზოგადად ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების ძალისხმევაც იქითკენ იყო მიმართული, რომ თანამშრომლობითი სისტემა ჩამოყალიბდეს ქვეყანაში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.





# ბექან ნათელაშვილი: „აშშ-დან ყოველ კრიტიკულ წერილს საქართველოში ახალი კლასტერი მოჰყვება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილი რთული სიტუაციის ზოგიერთ ასპექტზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბექან ნათელაშვილს.**

***– გამოითქმის მოსაზრებები იმაზე, რომ ხელისუფლება აპირებს სათავისოდ გამოიყენოს კორონავირუსის მეორე ტალღა, რომელიც არავინ იცის, იქნება თუ არა. მმართველ პარტიას უკვე აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მას არჩევნების გადადება (სავარაუდოდ, დეკემბრისთვის) სურს. არადა, გაუგებარია, რატომ უნდა აძლევდეს ხელს „ქართულ ოცნებას“ არჩევნების ვადის გადაწევა იმ ფონზე, როცა საზოგადოებაში უკმაყოფილება იზრდება.***

– პირადად მე ხელისუფლების და ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის, ბიძინა ივანიშვილის მოქმედებები მაგონებს განთქმული „ტიტანიკის“ გემის კაპიტნის, სმიტის საქციელს. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, კაპიტანმა თავისი გაიტანა, მაქსიმალური სიჩქარით იმოძრავა და აისბერგს შეანარცხა. ივანიშვილიც ასე იქცევა. განსხვავება ისაა, რომ ივანიშვილი, „ტიტანიკის“ კაპიტნისგან განსხვავებით, სამაშველო ნავში პირველი ჩახტება. ის დანარჩენებს ფსკერზე მოაქცევს.



***– დანარჩენებში ხელისუფლების წარმომადგენლებს გულისხმობთ?***

– მთავარ სპეკერებს – თალაკვაძეს, თმაკულულა კობახიძეს, წულუკიანს და სხვებს. ივანიშვილი თავს უშველის, ამათ კი არაფერი ეშველებათ.

***– ამ სიტუაციაში არჩევნების ვადის შეცვლას აზრი არა აქვს?***

– „ქართულ ოცნებას“ ეგ ვერ გადაარჩენს. შეხედეთ, რა მდგომარეობაშია ხალხი! ეს ადამიანები სამი თვით სახლებში გამოკეტეს, უპუროდ, უწყლოდ დატოვეს. ყველაფერი ჯერაც არ ამუშავებულა. მიზერული კომპენსაციები ცოტას შეხვდება. ამ ფონზე ხელისუფლებას ვერაფერი ვეღარ უშველის. ეს ინფექციონისტები ხომ გვაგიჟებენ.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ამირან გამყრელიძის ახალი ხატოვანი გამოთქმები. ეს მედიკოსი გვეუბნება, რომ ახალგაზრდებმა ფეხით უნდა იარონ, საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი ასაკოვან პირებს უნდა დაუთმონ. გავაკეთოთ ასე და ვნახავთ, რა მოხდება. სიცხეში სიარული დააავადებს ნებისმიერ ჯანმრთელ ახალგაზრდას. მედიკოსებმა კარგად იციან, რომ მზეზე და გვალვაში სიარულს მოსდევს გულის შეტევები. საქართველოს კორონა კი არა, ქოცრონა უტევს. ქოცრონას ვირუსს ოქტომბერში მოვიშორებთ.

***– ვიღაცას რაღაცისთვის დასჭირდა საპარლამენტო არჩევნების ვადის გადაწევის საკითხის აგორება?***

– სწორედ ასეა. ეს თემა ივანიშვილის რუპორებმა შემოაგდეს. კერძოდ, კობახიძემ განაცხადა, რომ ვირუსის მეორე ტალღის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს არჩევნების გადაწევა ოქტომბრიდან დეკემბრამდე. ლაპარაკობენ მეორე ტალღაზე. არანაირი მეორე ტალღა არ იქნება! ხელისუფლებას უნდა, რომ მეორე ტალღა იყოს, ისევ გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდვები. ძალიან ბევრი ადამიანი დარწმუნებულია, რომ კორონავირუსი და დაავადებულთა სტატისტიკა გაბერილია. თუ არის ერთი შემთხვევა, წერენ 21-ს. ამის დამამტკიცებელი საბუთები არა მაქვს, მაგრამ ამის მეც მჯერა. გავრცელებულია ასევე ჭორი იმაზე, რომ ჯანმრთელ ადამიანებს ფული გადაუხადეს იმაში, რომ ეთქვათ, თითქოს ინფიცირებული არიან. თუ მმართველი პარტიის სამიკიტნოში ვინმე ოდნავ მოაზროვნე ჰყავთ, იმან უნდა აუხსნას, რაშია საქმე. ხალხს რომ ერთხელ უშემოსავლოდ გამოკეტავ და აშიმშილებ, მსგავსი რამე კიდევ ერთხელ აღარ გამოვა! ეს ხალხი თვითონ ამ ხელისუფლებას გამოკეტავს გლდანის, მატროსოვის, რუსთავის ციხეებში.

***– პარლამენტი დაკავებულია მიმდინარე წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის განხილვით. გაირკვა, რომ კორექტირებული ბიუჯეტის 54% ნასესხები და ნაჩუქარი ფულია.***

– საქართველოს მეგობრებმა და პარტნიორებმა (პირველ რიგში, აშშ-მ) პანდემიასთან საბრძოლველად უზარმაზარი დახმარება გამოუგზავნეს. საუბედუროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ამ თანხების 80% უკვე დაიტაცა. ეს ხელისუფლება კარანტინის დროსაც ფულს იჯიბავდა. ფულის შოვნის სქემები საზოგადოებისთვის ცნობილია. ჩვენ საქმე გვაქვს კრიმინალურ ბანდასთან, რომელმაც დაახლოებით 8 წლის წინ მძევლად აიყვანა საქართველოს მოსახლეობა. ეს მოხდა საქართველოს მოსახლეობის ნებითვე. მძევლობისაგან გათავისუფლება ცოტა ძნელია, მაგრამ ამისი გამოცდილება აქვთ ჩვენს ამერიკელ პარტნიორებს.

***– ამერიკიდან რამდენიმე თვეა, მკაცრი გზავნილები და წერილები მოდის.***

– დიახ. წერილი წერილზე მოდის. საინტერესო ისაა, რომ ყოველ წერილს მოჰყვება ახალი კლასტერი. ხელისუფლება ვირუსის თემას ძალიან ბინძურად იყენებს. ვისაც აშშ აკრიტიკებდა და ვინც წითელი ხაზები გადაკვეთა, ისიც ცნობილია. ასე მოიქცნენ სადამ ჰუსეინი და ნუამარ კადაფი.

***– ამერიკის კრიტიკა არ აკლიათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევ ისეთ სახელმწიფოებსაც, როგორიც არიან ვენესუელა და ნიკარაგუა.***

– დიახ. ეს რუსეთის მოკავშირე ქვეყნებია. მათ აღიარეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“. ისე, ივანიშვილის ხელისუფლება ძალიან ჰგავს სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმებს. ისინი ყველანი ფულის შოვნაზე არიან გადასული. მათ ააყვავეს კორუფცია. ყველგან მოქმედებს რუსული სცენარები.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები აშშ-დან მოსული წერილების შესახებ სპეციფიკურ განმარტებებს აკეთებენ. მათი თქმით, ეს წერილები დაბალი რანგის კანონმდებლების ნააზრევია. ხშირად გაისმის ნაციონალური მოძრაობის ლობისტების თემაც.***

– ეს გამაოგნებელი განცხადებებია. ინტერვიუს დასაწყისში რომ ივანიშვილი განწირული „ტიტანიკის“კაპიტანს შევადარე, ამასაც ვგულისხმობდი.

# ლუკა სირაძის საქმეზე ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიური იძულების ფაქტს

სახელმწიფო ინსპექტორის, ლონდა თოლორაიას განცხადებით, დარწმუნებულია, რომ 15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანის გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს. ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ამ საქმეში ადგილი ჰქონდა არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური იძულების ფაქტს.

– ჩვენ შევაგროვეთ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა კონკრეტული პირის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტს. შევქმენით დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. კერძოდ, ჩვენ დავადგინეთ, რომ ადგილი ჰქონდა არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური იძულების ფაქტს, რის გამოც, ეს პირი ბრალდებულის სახით პროკურატურის მიერ პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამჟამად საქმე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში და მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ამაზე გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, – განაცხადა თოლორაიამ.



15 წლის მოზარდი ლუკა სირაძე, რომელმაც პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი დააკავეს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 19 დეკემბერს შეუფარდა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ლუკა სირაძის საქმეზე, პოლიციის კიდევ რამდენიმე თანამშრომლის მხრიდან ადმინისტრაციული გადაცდომა გამოკვეთა. უწყებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა პოლიციის მუშაკებისთვის შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

# „სუსის მიერ დაკავებული რუსეთის მოქალაქე ვასამბეგ ბოკოვი გიორგი გაბუნიას მოკვლას გეგმავდა“

## ნიკა გვარამია: „დამკვეთი რამზან კადიროვია“







„კურიერის“ ინფორმაციით, ქავთარაძის ქუჩაზე სპეცოპერაციისას დაკავებული პირი რუსეთის მოქალაქე ვასამბეგ ბოკოვია – მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

„კურიერმა“ გაარკვია, თუ რას ედავება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დაკავებულს, რომელიც აჰმედის სახელითაა ცნობილი. ირკვევა, რომ პირი მალავდა საკუთარ ვინაობას, სახელს, გვარს და საქმიანობას. „კურიერის“ ინფორმაციით, მისი ნამდვილი სახელი და გვარი ვასამბეგ ბოკოვია და ის რუსეთის მოქალაქეა.

დაკავებულის უფლებადამცველი ნინო მიქატაძე არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვასამბეგ ბოკოვის დაკავება სხვა ქვეყნის მოთხოვნით მოხდა.

– ვიცავ ვასამბეგ ბოკოვის ინტერესებს, რომელსაც მიმდინარე წლის 14 ივნისს წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შეძენა-შენახვას მისი გამოყენების მიზნით და, ასევე, ამ დოკუმენტის გამოყენებას.

ბრალდებულის პოზიციას ვერ მოგახსენებთ, ვინაიდან არ შემდგარა გამოკითხვის ოქმი, ხოლო კონსულტაციის დროს გამოთქმულ პოზიციას ვერ გეტყვით, – აღნიშნა ადვოკატმა.

რამდენიმე დღის წინ საქმესთან დაკავშირებით პანკისის უხუცესთა საბჭოს წევრის, ხასო ხანგოშვილის სახლიც გაჩხრიკეს. მისი მტკიცებით, აჰმედის სახელით ცნობილი პიროვნების ნამდვილი ვინაობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

– მე მხოლოდ მისი სახელი ვიცი – აჰმედი, ასე ვიცნობდი. გვარი არ ვიცოდი. ხდება ხოლმე, შეიძლება პასპორტში სხვა სახელით იყოს და ურთიერთობაში სხვა სახელით სარგებლობდეს. ჩვეულებრივი მოვლენაა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, სინამდვილეში მისი მონაცემები არ ვიცი, არ დავინტერესებულვარ. თუ ჩემი ქვეყნის, ქართველი ხალხის წინაშე აშავებდა ან ფიქრობდა რამე დაეშავებინა, ე.ი. ის ჩემ წინააღმდეგაც მოქმედებდა, ეს ცალსახაა. ამიტომ, ამ კუთხით, მართლაც არ მაინტერესებს მისი ბედი, – განაცხადა ხასო ხანგოშვილმა.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებული ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, რომ საქართველოში ბიზნესი ჰქონდა, რეალურად კი სრულიად სხვა საქმიანობით იყო დაკავებული, რაც მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მიზეზი გახდა. ქავთარაძეზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავებულს ბრალი ყალბი დოკუმენტების დამზადება-შენახვა-გამოყენების მუხლით წაუყენეს.

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია, რომ ბოკოვი „მთავარი არხის“ ჟურნალისტის, გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციას გეგმავდა, დამკვეთი კი ვლადიმერ პუტინის მარჯვენა ხელი და ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვია.

არხის ცნობით, ბოკოვი თბილისში სპეციალური დავალებით იყო ჩამოსული და მისი სამიზნე გიორგი გაბუნია იყო, მკვლელობა კი უკრაინის ტერიტორიაზე დაიგეგმა.

ჟურნალისტის ლიკვიდაცია შურისძიების მიზნით იგეგმებოდა. „მთავარ არხს“ წყარომ სპეცსამსახურებიდან აცნობა, რომ თავდასხმა გიორგი გაბუნიას მიერ ვლადიმერ პუტინის მისამართით გადაცემა „პოსტ სკრიპტუმში“ გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება.

მთავარი ფაქტორი კი, რომელმაც ლიკვიდაციის გეგმა ჩაშალა, კორონავირუსის ეპიდემია, საგანგებო მდგომარეობა და უკრაინული სპეცსამსახურების მიერ ქართველი კოლეგებისთვის მიწოდებული ინფორმაცია გახდა.

როგორც „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, მან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიიღო ინფორმაცია, რომ გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ გარკვეული ქმედება მზადდებოდა, შესაბამისად მან ჟურნალისტის დაცვის გაძლიერების გადაწყვეტილება მიიღო:

– თვეების განმავლობაში გიორგი გაბუნიას უთვალთვალებდნენ. ჩვენ იმთავითვე გავაძლიერეთ დაცვა... უკრაინის ტერიტორიაზე გამოძიება დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოსთვის შეუტყობინებლად და ამის მიზეზი იყო ის, რომ საქართველო არ არის სანდრო პარტნიორი, როცა გამოძიება მიმდინარეობს რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

თავად გიორგი გაბუნიას თქმით, თვალთვალის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია მას არ ჰქონდა, თუმცა ამბობს, რომ მისმა დაცვამ ბოლო პერიოდში შეამჩნია, რომ მიყურადებას ჰქონდა ადგილი.

– კონტრტერორისტულმა სამსახურმა საქართველოში დააკავა რუსეთის მოქალაქე, ვასამბეგ ბადრის ძე ბოკოვი, ინგუში, დაბადებული ინგუშეთის რესპუბლიკაში, 1982 წლის 21 დეკემბერს. მისი დაკავების ოფიციალური მიზეზი არ არის ის, რაზეც ახლა უნდა გესაუბროთ. ის სხვა მიზეზით დააკავეს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მთავარი, რაც საქართველოს ხელისუფლებისთვის გახდა ცნობილი უკრაინის სამართალდამცველების მხრიდან, არის ის, რომ იგი გეგმავდა გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციას ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის დაკვეთით, – განაცხადა ბრიფინგზე ნიკა გვარამიამ.

დაკავებული ბოკოვის ადვოკატი დეტალებზე არ საუბრობს და ამბობს, რომ გაუთქმელობის დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი.

ბოკოვი ამჟამად წინასწარ პატიმრობაშია.

„ნეტგაზეთი“ ინფორმაციის დასაზუსტებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაუკავშირდა, თუმცა უწყებაში თქვეს, რომ აღნიშნულზე კომენტარს არ აკეთებენ.

# კანონიერი ქურდი თემურ გვასალია სენაკელ ბიზნესმენს 60.000 დოლარს სძალავდა

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ სენაკში მცხოვრებ ბიზნესმენს ერთ-ერთი ჩეჩნური დაჯგუფების სახელით შვილის ლიკვიდაციით დაემუქრნენ. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ ე.წ. ჩეჩნური დაჯგუფების უკან ცნობილი „კანონიერი ქურდი“ თემურ გვასალია იდგა.

როგორც დაზარალებული ბიზნესმენის ახლობელმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, სამართალდამცველებმა „კანონიერ ქურდთან“ კავშირში მყოფი კრიმინალური „ავტორიტეტი“ უკვე დააკავეს.

მისი ინფორმაციით, სინამდვილეში არანაირი ჩეჩნური დაჯგუფება არ არსებობდა და ბიზნესმენისთვის ფულის გამოძალვას „კანონიერი ქურდი“ ცდილობდა. საუბარია 60.000 დოლარზე.

ვინ არის თემურ გვასალია?

48 წლის „კანონიერ ქურდს“ კრიმინალურ სამყაროში „თემო სოხუმკის“ სახელით იცნობენ.

2015 წლის 15 მაისს გვასალია სოფელ რუხში კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ თემურ გვასალიამ დაკავებისას და პირადი ჩხრეკისას „კანონიერი ქურდობა“ არ უარყო, ის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, შოთა ბიჭიამ მტკიცებულებების არარსებობის გამო უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა.

მაშინ გვასალია საქართველოში ყალბი, თემურ სონგულიას სახელზე გაცემული პასპორტით შემოვიდა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან. გვასალიას „ქურდული ნათლობა“ 2013 წლის დეკემბრის დასაწყისში მოხდა „კანონიერი ქურდების“ – ვალიკო ჯეჯიას (ვალტერი), გიორგი უგლავას (ტახი) და ირაკლი ყალიჩავას (იკა ხუტუ) მიერ.

ამჟამად თემურ გვასალიასთან კავშირში მყოფი პირი ქურდული სამყაროს წევრობისა და გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1976 წელს დაბადებული ა.გ., „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ბრალდებით, სენაკში დააკავეს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ გიორგი ლილუაშვილმა, დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ა.გ. და მისი საზღვარგარეთ მყოფი შვილი – 2001 წელს დაბადებული გ.გ., ვითომდა ჩეჩნური დაჯგუფების ლიდერების – „მაგამედისა“ და „ხაკიმის“ სახელით, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდის თემურ გვასალიას (მეტსახელად „თემურ სოხუმსკი“) დახმარებით, მოქალაქეს – 1967 წელს დაბადებულ მ.ყ.-ს, ვაჟიშვილის გატაცების, ასევე, მისი და მისივე ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის მუქარით, 60.000 აშშ დოლარს სძალავდნენ. სამართალდამცველებმა ა.გ. დაზარალებულისგან მოთხოვნილი თანხის გამოძალვის დროს დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, გამოძალული თანხის ნაწილი – 10.000 აშშ დოლარი ნივთმტკიცების სახით ამოიღო. დაკავებულ ა.გ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც „ქურდული სამყაროს“ წევრობას გულისხმობს. ასევე, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად ჩადენილ გამოძალვას გულისხმობს. დაკავებულს ბრალი ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითაც წარედგინა.

# გიორგი რურუა: „აბსურდული ბრალდება მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლის საშუალებაა“

გუშინ, 15 ივნისს, გიორგი რურუას სასამართლოზე ბრალდებულმა განცხადება გააკეთა.

მან სხდომის დაწყების წინ მიზანმიმართულ დევნაზე ისაუბრა და მის მიმართ წაყენებულ ბრალს აბსურდული უწოდა.

– მინდა შევეხო ჩემს წინააღმდეგ მიზანმიმართულად აგორებულ რუსული ხელწერით შექმნილ პროპაგანდას, რომელიც სახელისუფლებო მედიაში ვრცელდება. ებრძოდნენ „ნტვ“-ს, ასეთივე მეთოდებით ებრძვიან კასიანოვს, ნემცოვს, კარამუზას, მაგნიცკის, ესტემიროვას და პოლიტკოვსკაიას. ზოგ ადამიანს დააბრალეს მკვლელობა, ზოგ ადამიანს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა გაუვრცელეს, ზოგს პედოფილიაში დასდეს ბრალი.

ამით ხელისუფლება ცდილობს დაბნეულობის შემოტანას ჩვენში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს აბსურდული ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლის საშუალებაა და არ ემსახურება სიმართლის დადგენას, – განაცხადა რურუამ.

# სუსმა აჭარაში ქრთამის აღებისთვის 3 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის უფროსი და ერთი პირი, ხოლო ყალბი დასკვნის გაცემის ფაქტზე – ექსპერტი დააკავეს.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის უფროსი და ერთი პირი, ხოლო ყალბი დასკვნის გაცემის ფაქტზე – ექსპერტი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის უფროსმა, რომელიც ამავდროულად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრია, მოქალაქეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალში, მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობების საკუთრების უფლებით აღიარების სანაცვლოდ, ერთი პირის დახმარებით ქრთამის სახით 4.000 აშშ დოლარი გამოართვა.

აგრეთვე ექსპერტმა, ზემოაღნიშნული პირების მითითებით, 1.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, საკუთრების უფლებით ასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 2002-2006 წლებში აშენების თაობაზე, ყალბი ექსპერტიზის დასკვნა დაამზადა.

გამოძიება, დიდი ოდენობით ქრთამის აღების, ქრთამის აღებაში დახმარებისა და ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ვანში სექსუალური შევიწროების ფაქტზე 1 პირი გამოავლინეს

პოლიციამ ვანში სექსუალური შევიწროების ფაქტზე ერთი პირი გამოავლინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს და განმარტავს, რომ მომჩივანი ქალია, რომელიც სექსუალურ შევიწროებაში მეზობელ მამაკაცს ადანაშაულებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სექსუალური შევიწროების ფაქტზე 1976 წელს დაბადებული ს.ჯ. გამოავლინეს. ვანის რაიონულ სამმართველოს მიმართა ქალმა, რომელიც მიუთითებდა მეზობლად მცხოვრები მამაკაცის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების შესახებ.

პოლიციამ შესაბამისი ღონისძიებების შედეგად დაადგინა, რომ ს.ჯ.-მ ვანში, ერთ-ერთ ქუჩაზე, 1981 წელს დაბადებული ნ.ჯ.-ის მიმართ სექსუალური შევიწროება განახორციელა. კერძოდ, ს.ჯ.-მ დაზარალებული ქალის მიმართ გამოიყენა სექსუალური ხასიათის ფრაზები და მის წინაშე განახორციელა სექსუალური ხასიათის ქცევა, რაც ამ უკანასკნელისთვის დამამცირებელი და ღირსების შემლახავი იყო.

სასამართლომ სრულად გაიზიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს არგუმენტები და ს.ჯ. სექსუალური შევიწროების ჩადენის ფაქტზე სამართალდამრღვევად ცნო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ს.ჯ.-ს 300 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა დაეკისრა“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# პრეზიდენტი დუდა: „პოლონეთში გეი ქორწინება არ იქნება და მათ ბავშვის აყვანის უფლება არ მიეცემათ“




პოლონეთის პრეზიდენტმა ლგბტ პირების უფლებების დაცვის „იდეოლოგიას“ კომუნიზმზე დესტრუქციული უწოდა.

ამის შესახებ განცხადება ანჯეი დუდამ საარჩევნო მიტინგზე გამოსვლისას გააკეთა.

დუდას თქმით, მისი მშობლების თაობა კომუნისტურ იდეოლოგიას 40 წელიწადი ებრძოდა და „არა იმისთვის, რომ შექმნილიყო ახალი და უფრო დესტრუქციული იდეოლოგია“.

თავის გამოსვლაში პოლონეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ „ბავშვების სექსუალურ განათლებაზე პასუხისმგებლობა მათ მშობლებს ეკისრებათ“ და „შეუძლებელია ყველა ინსტიტუტი ამ პროცესში ჩაერიოს“.

10 ივნისს პოლონეთის პრეზიდენტმა წარადგინა ე.წ. ოჯახის ქარტია და ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ პოლონეთში გეი წყვილების ქორწინება დაუშვებელი იქნება და ისინი ბავშვის აყვანას ვერ შეძლებენ. დუდას თქმით, ასევე აიკრძალება სკოლებში ლგბტ საკითხების სწავლება.

პოლონეთში საპრეზიდენტო არჩევნები 28 ივნისს გაიმართება. წინასწარი პროგნოზებით, მმართველი პარტიის მიერ წარდგენილი ანჯეი დუდა ფავორიტია.

მისი მთავარი კონკურენტი ვარშავის ლიბერალი მერი რაფალ ტშასკოვსკია. მისი ინიციატივით, ვარშავის სკოლებში ლგბტ საკითხები ისწავლება, რის გამოც მას ოპონენტები ხშირად აკრიტიკებენ.

# რუსეთ-თურქეთი: მოლაპარაკებები გადაიდო



კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი თავის თურქ კოლეგას ჩავუშოღლუს უნდა შეხვედროდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა სირია და ლიბია უნდა ყოფილიყო. შეხვედრა არ შედგა. ამის ნაცვლად ლავროვი ჩავუშოღლუს ტელეფონით დაუკავშირდა.

რუსეთის და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები გადაიდება. მინისტრების შეხვედრის ახალი თარიღი არ არის ცნობილი. ლავროვმა ჟურნალისტებს მხოლოდ ის განუცხადა, რომ უახლოეს ხანებში რუსეთ-თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების დიალოგი გაიმართება.

სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი ლავროვისა და ჩავუშოღლუს შეხვედრის კონკრეტული თარიღი.

# რუსეთმა ორი ჩეხი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა



რუსეთმა ჩეხეთის საელჩოს ორი თანამშრომელი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა.

ამის შესახებ რუსულ მედიასთან საუბარში ჩეხეთის ელჩმა ვიტეზსლავ პივონკამ განაცხადა.

— მივიღეთ პასუხი რუსეთის მხრიდან. ორი დიპლომატი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს, — განაცხადა ელჩმა, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო დაბარებული.

ივნისის დასაწყისში ჩეხეთმა რუსეთის საელჩოს ორი თანამშრომელი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა.

***მოამზადა ნიკა თევზაძემ***

## სპორტი

# გოჩა სვანიძე: „რაგბის კავშირში ბევრი რამ შესაცვლელია“

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ ონლაინ-პრესკონფერენცია გამართა და ბევრი კითხვას უპასუხა.

სვანიძემ 4 წლის წინანდელი პერიოდი გაიხსენა, როდესაც არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობა. მან ასევე იმ გუნდის შესახებ ისაუბრა, რომელიც მაშინ უმაგრებდა ზურგს და რომელიც ახლაც მისი მხარდამჭერია.

**გოჩა სვანიძე:**

— პრეზიდენტობა, გნებავთ ნებისმიერი თანამდებობა, ჩემი ცხოვრების მიზანი არასდროს ყოფილა. ეს არის საქმის გაკეთების საშუალება. უმრავლესობას კარგად ემახსოვრება 4 წლის წინანდელი არჩევნები, რომელიც გაუქმდა და მეორედ დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სურვილი არ იყო, რადგან განმეორებითი არჩევნებისთვის კანდიდატები არ იყო. მასში მე და ილია ზედგინიძემ მივიღეთ მონაწილეობა და ჩემი არჩევით დასრულდა. კანდიდატად დასახელებამდე რამდენიმე დღით ადრე, ვინმეს რომ ეთქვა მე პრეზიდენტი გავხდებოდი, ნამდვილად გამიკვირდებოდა, მაგრამ ცხოვრება იმითაა საინტერესო, რომ ხანდახან ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. გუნდი, რომელსაც მე წარმოვადგენ, რაგბის კავშირს აგერ უკვე 16 წელია მართავს, ზოგიერთი მათგანი კი, კავშირში 20 წლის წინაც იყო. ამ ადამიანების ხელში რაგბმა საქართველოში დიდ წარმატებას მიაღწია. 2003 წლის მსოფლიო თასზე გასვლა დიდი გმირობა იყო, თუმცა გარდამტეხი 2007 წლის მსოფლიო თასი აღმოჩნდა. ეს იყო როგორც მორაგბეების და მწვრთნელების, ასევე ხელმძღვანელობის და რიგითი თანამშრომლების დამსახურება. პირველი გამარჯვება ნამიბიასთან და უფრო მნიშვნელოვანი, სასწაული თამაში ირლანდიასთან, აღმოჩნდა გარდამტეხი ქართული რაგბის ცხოვრებაში. რაგბის განვითარებაში სახელმწიფო ჩაერთო, გამოჩნდა ფონდი „ქართუ“, რომელმაც შექმნა ის ინფრასტრუქტურა, რომლის გარეშე განვითარება და წარმატებები წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ პერიოდში რაგბს მართავდა გუნდი, ჯერ მერაბ ანთაძის და მერე გია ნიჟარაძის ხელმძღვანელობით. ანთაძის დროს დაიწყო სახელმწიფოსგან დაფინანსება და გაიხსნა პირველი ბაზა, ნიჟარაძის დროს კი, ქართულმა რაგბმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. 2016 წელს, დავემორჩილე გუნდის გადაწყვეტილებას და სწორედ ამიტომ ვარ დღეს აქ. მე გუნდური მოთამაშე ვარ და ჩვენ გვაერთიანებს სტრატეგიული ხედვის თანხვედრა. ჩვენ ვიცით, რომ ნებისმიერი საკითხი ქართული რაგბის წინსვლას და განვითარებას უნდა ემსახურებოდეს და არა ვინმეს პირად, ან კლუბის ინტერესს. ჩვენ გუნდის შიგნით ბევრჯერ გვქონია მწვავე კამათი სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, რაც მუშა პროცესია და მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანებთან მიწევს მუშაობა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტად არჩევამდე, გოჩა სვანიძე გამგეობის თავმჯდომარე იყო. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი კითხვა რაგბის კავშირის გამგეობის როლს და მის დაკომპლექტების წესს ეხებოდა:

— გამგეობა რაგბის კავშირის უმნიშვნელოვანესი ორგანოა. ის რაგბის კავშირის მართვაში არ ერევა და აკისრია მისი მუშაობის მაკონტროლებლის ფუნქცია. ის ღებულებს რეგულაციებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, გასცეს თუ არა თანხმობა პრეზიდენტის ამა თუ იმ ქმედებებზე, ასევე აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულებას და ასრულებს საერთო კრების ფუნქციებს, კრებების შეკრებებს შორის პერიოდში. გამგეობის თავმჯდომარე არის მისი სპიკერი და კოორდინაციას უწევს ამ კოლეგიალური ორგანოს მუშაობას. მე მისი თავმჯდომარე ვიყავი არა იმიტომ, რომ გამგეობის რომელიმე წევრზე უკეთესი, ან გამორჩეული ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ პროფესია მაძლევდა კოორდინაციის უკეთ განხორციელების შესაძლებლობას. ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, მერწმუნეთ, გამგეობის სხვა წევრები უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე — მე. რაც შეეხება მისი დაკომპლექტების წესს, ის უნდა შეიცვალოს, ოღონდ ეს უნდა მოხდეს წესდების მიხედვით. დღევანდელი რეგულაციით, გამგეობის წევრების დელეგირებას ახდენს პრეზიდენტი. პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გამგეობაში თანამოაზრეების კვოტა, მაგრამ არ უნდა ახდენდეს მის სრულ დაკომპლექტებას. გამგეობის დაკომპლექტებას საერთო კრება უნდა ახდენდეს.

თუ რა ხდება წესდებასთან დაკავშირებით, სვანიძის თქმით, საარჩევნო ხმების განაწილებაში ცვლილება აუცილებელია და მზადაა განიხილოს კლუბების წინადადებები. მან დააფიქსირა თავისი მოსაზრებაც ცვლილებებთან დაკავშირებით:

— არსებულმა წესდებამ საკმარისზე დიდხანს იმუშავა და, დროა შეიცვალოს. საარჩევნო ხმების განაწილების პრინციპი სწორია — ყველა კლუბს აქვს ერთი ხმა, რის შემდეგაც გარკვეულ კლუბებს ეძლევათ პრემიალური ხმები არა ვიღაცის შეხედულების მიხედვით, არამედ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე. ხმების განაწილების არსებულ სისტემას აქამდე არავინ აპროტესტებდა და მხოლოდ ბოლოს დაიწყო პროტესტი.

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# თენგიზ მუშკუდიანი 93 წლის გახდა



ოპერის მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი 93 წლის გახდა. კორონავირუსის გავრცელების გამო, იუბილარ ხელოვანს დაბადების დღე მხოლოდ ონლაინ მიულოცეს.

არაერთი თაობის აღმზრდელი საოპერო ხელოვნებაში, საბედნიეროდ, ისევ ჯანზეა და კიდევ არაერთი ნიჭიერი მოსწავლის აღზრდას აპირებს.

თენგიზ მუშკუდიანი და ფილმი „აბეზარა“ განუყოფელია. არქიტექტორის ნათამაშევმა როლმა მას არნახული პოპულარობა მოუტანა.

როგორც თავად იუბილარი აღნიშნავს, მისთვის ყველანაირ სადაბადებისდღეო საჩუქარზე უფრო ძვირფასი მისი აღზრდილების წარმატება და მსმენელების გულწრფელი სიყვარულია.

# ეკა კვალიაშვილის რჩევები საზოგადოებას



მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა საზოგადოებას ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მიღებული ყველაზე სასარგებლო რჩევები გაუზიარა:

1. ვინც ბევრს ფიქრობს, ის ცოტას ლაპარაკობს, ცდილობს, თავისი აზრი რამდენიმე სიტყვაში ჩაატიოს;
2. იარე სწორ გზაზე და არა პირდაპირ, პირდაპირი გზა ყოველთვის არაა სწორი;
3. ღირსეული ადამიანი ის კი არ არის, ვინც უნაკლოა, ღირსეული ადამიანი ისაა, ვისაც ღირსება აქვს;
4. ეცადე არ იკამათო: ჭკვიანებთან ისაუბრე, სულელი კი სულელია...
5. პატიოსნება მაშინ კვდება, როცა იყიდება;
6. სულელი თვლის, რომ ის ჭკვიანია, ბრძენი კი თვლის, რომ იგი სულელია;
7. გონება ძვირად ფასობს იქ, სადაც ძალა იაფია.

# მაღალაანთ ეკლესიასთან წყლის რეზერვუარი ააშენეს

კასპის რაიონში XII-XIII საუკუნის მიჯნაზე აშენებული ულამაზესი ძეგლის, მაღალაანთ ეკლესიის გვერდით, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, წყლის რეზერვუარი ააშენეს.

ინფორმაცია ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

— კასპის რაიონში, მაღალაანთ ეკლესიის სიახლოვეს არსებულ ვითარებაზე. ეს პრობლემა გასული წლის გაზაფხულზე გავაშუქე, მეგონა, წერტილი სამუდამოდ დაესვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის.

XII-XIII საუკუნის მიჯნაზე აშენებული ულამაზესი ძეგლიდან, მაღალაანთ ეკლესიიდან, ჩრდილოეთის მხრიდან, ზუსტად 90 მეტრში კასპის მერიის ორგანიზებითა და მითითებით მიმდინარეობდა მშენებლობა, რომელიც უკავშირდებოდა სოფელ წინარეხის სასმელი წყლით მომარაგებას. ამ პრობლემის ირგვლივ 2019 წლის 13 მარტს გავიგეთ და მეორე დღეს „ობიექტივიდან“ მე და გიორგი წამალაძე ადგილზე ჩავედით. პირველი, რაც იქ ჩასვლისთანავე გავაკეთე, იყო ის, რომ დავრეკე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, სადაც ზემოხსენებული სამუშაოების შესახებ არაფერი იცოდნენ. სააგენტოდან იურისტი ლევან ჭავჭავაძე და არქეოლოგი ზურაბ გიორგაძე იქ ძალიან მალე ჩამოვიდნენ.

მაღალაანთ ეკლესია არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, მას აქვს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია, ანუ დაცვის მაღალი მექანიზმი და მის სიახლოვეს მსგავსი სამუშაოების წარმოება დაუშვებელია. სააგენტოს წარმომადგენლებმა — სიტყვიერი პირობაც მოგვცეს და ვიდეოკომენტარიც, რომ მშენებლობა შეჩერდებოდა. ამის შემდეგ სააგენტომ კასპის მერიას ოფიციალურად მისწერა. ეს მოხდა 2019 წლის 28 მარტს.

მშენებლობა შეჩერდა. ეს პრობლემა კი განიხილა სააგენტოს შესაბამისმა საბჭომ. მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მოგვიანებით მშენებლობა განახლდა და დასრულდა.

მე მეგონა, რომ ეს პრობლემა წერტილდასმული იყო და როგორც მოგახსენეთ, ეს ასე არ აღმოჩნდა, 2020 წლის 13 ივნისს სოფელ წინარეხიდან ფეისბუქით მომწერა ნელი მამასახლისმა და აი, რა მიამბო:

კომპანიამ, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით წყლის რეზერვუარს აშენებდა, სამუშაოები დაახლოებით ერთი წლის წინ დაასრულა. ამ სამუშაოების შედეგად სოფელ წინარეხში უნდა მოგვარებულიყო სასმელის წყლის პრობლემა, მაგრამ რეზერვუარის მშენებლობის დასრულების შემდეგ შესაბამისმა სამსახურებმა თავისი ფუნქცია არ შეასრულეს და ამჟამად სოფელ წინარეხს ტალახისფერი, სუნიანი წყალი მიეწოდება.



რაც შეეხება ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ მდგომარეობას — კასპის მერიამ გასულ წელს თავის თავზე აიღო ახლად აშენებული რეზერვუარის მიწით დაფარვა და იქაურობისთვის მესერის შემოვლება, მაგრამ არც ერთი გააკეთეს და არც მეორე — მიწა მიიტანეს, ზვინებად დაყარეს; იქაურობისთვის მესერის შემოვლება არც უცდიათ.

ამჯერადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში დავრეკე, ბატონ ლევან ჭავჭავაძეს ვესაუბრე და წინარეხიდან გამოგზავნილი ფოტომასალაც მივაწოდე. უახლოეს დღეებში კვლავ შევეხმიანები და გაგაგებინებთ, რამდენ ხანში და როგორ გამოსწორდება ვითარება.

***მოამზადა ეკა ირემაშვილმა***

# ბავშვობაში ნაპოვნმა მონეტამ მამაკაცი გაამდიდრა




ბრიტანეთის ესექსის საგრაფოს ქალაქ კოლჩესტერის მკვიდრმა ძველი მონეტა, რომელსაც ბავშვობიდან ინახავდა, გაყიდა და გამდიდრდა.

კევინ სცილიტოუმ მონეტა 1973 წელს ათი წლის ასაკში იპოვა. მაშინ კოლჩესტერში მდინარე კოლნს წმენდნენ. კევინი და მისი სკოლელები ფსკერიდან ამოღებულ და ნაპირზე დაყრილ მიწას ჩიჩქნიდნენ იმის იმედად, რომ ძველ რომაულ განძს იპოვიდნენ. მან რამდენიმე რომაული მონეტის პოვნა მართლაც მოახერხა.

ერთ-ერთი მონეტა განსაკუთრებით კარგად იყო შემონახული, მაგრამ სცილიტოუ დიდი ხნის მანძილზე მის იდენტიფიცირებას ვერ ახერხებდა. მამაკაცი მხოლოდ მას შემდეგ მიხვდა, რომ მის ხელში იშვიათი ბრინჯაოს მონეტა აღმოჩნდა, კერძოდ 291 წლის ანტონიანი, როდესაც ანალოგიური მონეტა ბრიტანეთის მუზეუმში ნახა.

ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ასეთ მონეტაში 800-დან ათას ფუნტამდე გადაიხდიდა მყიდველი. თუმცა ამერიკელმა კოლექციონერმა, რომელიც აუქციონში მონაწილეობდა, მონეტაში ოთხი ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

***მოამზადა კახა ხატიაშვილმა***

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# გოჩა სვანიძე: „რაგბის კავშირში ბევრი რამ შესაცვლელია“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

პირადად მე, წინა არჩევნების დროსაც ვამბობდი, რომ ეს სისტემა შესაცვლელი იყო და 2016 წლიდან დავიწყეთ კიდეც კლუბებთან კონსულტაციები. მიმაჩნია, რომ არსებულ წესზე დასამატებელია სტაბილური სპორტული შედეგით ხმების განაწილების პრინციპი, ასევე კლუბის ისტორიის მიხედვით. ჩემი შეხედულებით, ყველა კლუბს არ უნდა ჰქონდეს ხმის უფლება. მაგალითად, 1 წლის დაარსებულ გუნდს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ხმა. საჭიროა გავიდეს გარკვეული პერიოდი და როდესაც ის ქართული რაგბის განვითარებაში წვლილს შეიტანს, ხმის უფლებასაც მიიღებს. დღესდღეობით გვყავს ხმის უფლების მქონე 43 სუბიექტი, რაც ძალიან ბევრია. მაგალითად, 16 წლის წინ ასეთი სუბიექტი იყო 13 თუ 14. თუ კლუბების დაარსება ამ ტემპებით გაგრძელდება, სულ მალე 60-70 კლუბი გვეყოლება, რომელთაგან ამინდს დაახლოებით 20 თუ შექმნის. ოპონენტები მომიწოდებენ, რომ წესდებაში ცვლილებები შევიტანო. მინდა მათ შევახსენო, რომ ამ ცვლილებას სჭირდება საერთო კრება, სადაც უკვე შეჯერებული, საბოლოო ვარიანტი უნდა გავიდეს. როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით კლუბებთან გვქონდა საერთო შეხვედრები, მათი მხრიდან შენიშვნები არ მიგვიღია, მაგრამ ცალ-ცალკე შეხვედრებისას წამოვიდა შენიშვნების კასკადი. მათი ნაწილი გავითვალისწინეთ და ამ პროცესმა დაახლოებით 2 წელი წაიღო, მაგრამ არჩევნებამდე უკვე 1 წელი იყო დარჩენილი. საარჩევნო ციებ-ცხელების დროს სჯობს წესდებას არ შეეხო და როგორც კი არჩევნები დამთავრდება, მზად ვართ მივიღოთ არა ჩვენი, არამედ კლუბების წარდგენილი წესდების პროექტი, რომელსაც დამატებებისა და ცვლილებებისთვის საერთო კრებას წარვუდგენთ.

სვანიძემ საკადრო პოლიტიკაზე ისაუბრა. მისი თქმით, რამდენიმე ადამიანმა, ვისაც თავისი გუნდის წევრად მიიჩნევდა, მოლოდინი ვერ გაამართლა:

– სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას, რადგან საკადრო პოლიტიკა იყო ცუდი. ადამიანებმა, ვისაც დავეყრდენი და ვისაც ჩემს თანაგუნდელად მოვიაზრებდი, ვისზეც ვფიქრობდი, რომ მათი წრიდან შეიძლებოდა წამოსულიყო მომავალი პრეზიდენტი, გამგეობის წევრები და უნდა ეზრუნათ ქართული რაგბის მომავალზე, სამწუხაროდ, ჩემი გათვლა იყო არასწორი, ან მათ დაუშვეს შეცდომა, რომლის გამოსწორებაც შესაძლოა მოხდეს ხვალ. არ შეიძლება სკამის და თანამდებობის გულისთვის დაბლოკო რაგბის განვითარება – ხელი შეუშალო კავშირს სპონსორებთან თუ შიდა ურთიერთობებში. ვინც არ უნდა გახდეს ხვალ პრეზიდენტი, მან უნდა ჩაიბაროს წარმატებული ორგანიზაცია და ეს მის ინტერესშიც უნდა იყოს. არ შეიძლება საარჩევნო კამპანიის ნგრევაზე აგება და თანაც ისე, რომ ამ „ნგრევას“ ხელი შეუწყო.

რაგბის კავშირის პრეზიდენტს მოგვიანებით ნეპოტიზმზეც ჰკითხეს – ყავს თუ არა დასაქმებული მეგობრები და ნათესავები, რაზეც სვანიძემ უპასუხა:

– არ ვიცი ვინ გყავთ მხედველობაში. რაგბის კავშირში დასაქმებული ყველა ადამიანი ჩემი მეგობარია, რადგან ზოგი ჩემი თაობის და ზოგიც მომდევნო თაობის მორაგბეა. თუ ნეპოტიზმად ის ითვლება, რომ მორაგბეებს ვუწევდი პროტექციას, ვიდრე შესაძლოა სხვა უფრო მაღალი დონის სპეციალისტებს, ჩავთვალოთ ეს ნეპოტიზმად. ნათესავები საერთოდ არ მყავს დასაქმებული. პირდაპირ ვამბობ, რომ საკადრო პოლიტიკა გადასახედია. როგორც ჩანს, მარტოოდენ მორაგბეობა მეურნეობის კარგად გაძღოლისთვის საკმარისი არ არის. მსოფლიო რაგბსა და რაგბი ევროპაში, გარდა სპეციალიზირებული ორგანოებისა, დასაქმებული არიან სპეციალისტები, რომელთაც რაგბთან შეხება არ ჰქონიათ, თუმცა ამით მათ საქმიანობას ჩრდილი არ ადგება.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის სელექციაში მწვრთნელების გარდა ვერავინ ჩაერევა:

– მინდა დემონსტრაციულად ხაზი გავუსვა, რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში, ნაკრების სელექციაში მწვრთნელების გარდა ვერავინ ჩაერევა. რა თქმა უნდა, მწვრთნელებთან გვაქვს კომუნიკაცია და გავიხსენებ ზურაბ ჟვანიას მაგალითს. ჩვენ ამ გადაწყვეტილებაში არ ჩავრეულვართ და ნაკრებს პრობლემის არსის გასარკვევად ვეწვიეთ. იქ აბსოლუტური ერთსულოვნება დაგვხვდა როგორც მოთამაშეების, ასევე მწვრთნელების მხრიდან. მათ ბოდიში მოვუხადე და წარმატებები ვუსურვე, ვუთხარი, რომ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება,



რომელიც ქართულ რაგბს წაადგება და ისინი ამ საკითხში თავისუფლები არიან. თუ მწვრთნელს ვუცხადებთ ნდობას, მას ბოლომდე უნდა ვენდოთ და დავაკვირდეთ. თუ დავინახავთ, რომ ნაკრებში, როგორც ცოცხალ ორგანიზმში განხეთქილებაა, ასეთ შემთხვევაში ჩავერევით, სხვა შემთხვევაში კი, თუნდაც განსხვავებული აზრი გვქონდეს, ჩარევა გამორიცხულია.

სვანიძე ამბობს, რომ ახალგაზრდული ნაკრებებისთვის მაღალი დონის თამაშების ორგანიზებაზე, თანხებს არასდროს დაზოგავს:

– 20-წლამდელთა ნაკრებში ყველა თავის საქმეს აკეთებს და იმიტომაა წარმატებული. ჩვენ მათ ვეხმარებით მაღალი დონის თამაშებისა და ტურნირების ორგანიზებაში. თუ არის შანსი, რომ საქართველოში ჩამოვიდეს რომელიმე ქვეყნის კლუბი ან ნაკრები, უკან არასდროს ვიხევთ. ეს იწვევს დამატებით ხარჯს, რაც დეფიციტს წარმოქმნის, თუმცა ამ მხრივ ყველაფერი დალაგდება. მიუხედავად იმისა, გათვალისწინებული გვაქვს თუ არა ხარჯი ბიუჯეტში, როდესაც საქმე ახალგაზრდულ ნაკრებებს ეხება, გამოწვევაზე უარი არ უნდა ვთქვათ. ბიჭებს უნდა მიეცეთ მეტი თამაშის შესაძლებლობა და აქ ფინანსები მეორეხარისხოვანია.

მისი თქმით, მსოფლიო რაგბს სურს, რომ უახლოეს პერიოდში საქართველომ 20-წლამდელთა ჩემპიონატს კიდევ ერთხელ უმასპინძლოს:

– ტიერ 2-ის ქვეყნის ნაკრებს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ზედიზედ 5-ჯერ არასდროს უთამაშია. მეტსაც გეტყვით, საქართველო არც ერთ ტურნირზე არ ყოფილა მაჩანჩალა. მსოფლიო რაგბი გვთავაზობს, რომ უახლოეს პერიოდში კიდევ ერთხელ ვუმასპინძლოთ ახალგაზრდულ ჩემპიონატს, როგორც ეს 2017 წელს იყო.

7-კაცა რაგბი ოლიმპიური სახეობაა. იმედი გვქონდა, რომ რაგბი იქნებოდა ერთ-ერთი პირველი, რომელიც საქართველოზე გუნდურ სახეობას წარმოადგენდა. რაც სვანიძის თქმით, შორეული პერსპექტივა ყოფილა. სვანიძე ასევე მიიჩნევს, რომ 7-კაცა ნაკრები უნდა იყოს კონკრეტულად მოშვიდკაცე მორაგბეებით დაკომპლექტებული და შედეგი აუცილებლად იქნება:

– შედეგებით ნამდვილად ვერ დავიკვეხნით, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი წლის წინ ბიჭებმა სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს სამხრეთ აფრიკასა და კენიაში გამართულ კერძო ტურნირებში. მათ იქ საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეები დაამარცხეს. მინდა განვმარტო, რომ 7-კაცა ნაკრები დაკომპლექტებული იყო ეროვნული ნაკრების მორაგბეებით და თავისთავად, ხარისხიც იყო უკეთესი. მაგრამ 15-კაცა ნაკრებს აქვს თავისი მიზნები და, შესაბამისად, 7-კაცა რჩებოდა სტაბილური შემადგენლობის გარეშე. ამის შედეგი იყო არასტაბილური შედეგებიც – შეიძლებოდა დაგვემარცხებინა ინგლისი და ერთი კვირის შემდეგ წაგვეგო პოლონეთთან. ეს არის 2 განსხვავებული თამაში და გუნდებს უნდა ყავდეთ განსხვავებული შემადგენლობა, შესაბამისი მომზადებით და სპეციალურად 7-კაცასთვის დაკონტრაქტებული მოთამაშეებით. ამ მიზნით გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები. შესაძლოა, თავიდან გვქონდეს შედარებით დაბალი ხარისხი, მაგრამ ეს აუცილებლად მოიტანს იმ შედეგს, რასაც გულშემატკივარი ელოდება და რაც არ არის შორეული პერსპექტივა.

სვანიძემ ბავშვთა რაგბში არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, რაგბში ჩართული ბავშვების რაოდენობა დაახლოებით 2.000-ით გაიზარდა. ამ საკითხთან მიმართებაში სრკ-ს პრეზიდენტი სასკოლო რაგბის პროექტსაც შეეხო:

– არ ვიცი საიდან ჩნდება მოსაზრება, თითქოს ბავშვთა რაგბში პრობლემები გვაქვს. დინამიკა არის საკმაოდ მზარდი და ფესტივალების ჩასატარებლად, ხშირად მოედნები არ გვყოფნის. სამწუხაროდ, წელს გაზაფხულზე ამაში ხელი კოვიდ 19-მა შეგვიშალა. 2017 წლიდან 2019 წლამდე, რაგბში ჩართული ბავშვების რაოდენობა თითქმის 2 ათასით გაიზარდა. თუ ეს ნიშნავს, რომ ბავშვთა რაგბში ცუდად გვაქვს საქმე, მე ვიტყვი, რომ სტატისტიკა საპირისპიროს გვეუბნება. მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტიც. მასში ჩართული სკოლების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, რადგან იმ ბიჭებს, რომლებიც ამ პროექტს ხელმძღვანელობენ მიაჩნიათ, რომ უმჯობესია იყოს ხარისხი. ვფიქრობთ, რომ ახლა უკვე დადგა დრო გაიზარდოს სკოლების რაოდენობაც, რაც ფინანსებთანაა დაკავშირებული და მერწმუნეთ, ამისათვის საჭირო ფინანსები აუცილებლად მოიძებნება.

## შედეგები

### 14 ივნისი

**ფეხბურთი**

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-აუგსბურგი ... 0:1
შალკე-ლევერკუზენი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 23 | 4 | 4 | 92-31 | 73 |
| 2.დორტმუნდი | 31 | 20 | 6 | 5 | 82-35 | 66 |
| 3.ლაიფციგი | 31 | 17 | 11 | 3 | 77-32 | 62 |
| 4.ლევერკუზენი | 31 | 17 | 6 | 8 | 57-41 | 57 |
| 5.გლადბახი | 31 | 17 | 5 | 9 | 58-38 | 56 |
| 6.ვოლფსბურგი | 31 | 12 | 10 | 9 | 44-38 | 46 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 31 | 12 | 7 | 12 | 42-52 | 43 |
| 8.ფრაიბურგი | 31 | 11 | 9 | 11 | 41-43 | 42 |
| 9.შალკე | 31 | 9 | 12 | 10 | 36-48 | 39 |
| 10.აინტრახტი | 31 | 11 | 5 | 15 | 53-56 | 38 |
| 11.ჰერტა | 31 | 10 | 8 | 13 | 44-55 | 38 |
| 12.კიოლნი | 31 | 10 | 5 | 16 | 48-59 | 35 |
| 13.აუგსბურგი | 31 | 9 | 8 | 14 | 42-57 | 35 |
| 14.უნიონი | 31 | 10 | 5 | 16 | 37-54 | 35 |
| 15.მაინცი | 31 | 9 | 4 | 18 | 39-63 | 31 |
| 16.ფორტუნა | 31 | 6 | 10 | 15 | 33-61 | 28 |
| 17.ვერდერი | 31 | 7 | 7 | 17 | 35-64 | 28 |
| 18.პადერბორნი | 31 | 4 | 8 | 19 | 34-67 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დარმშტადი-ჰანოვერი ... 3:2
კარლსრუე-შტუტგარტი ... 2:1
ზ.პაული-აუე ... 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ატლეტიკო ... 1:1
რეალი-ეიბარი ... 3:1
სოსიედადი-ოსასუნა ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 19 | 4 | 5 | 67-31 | 61 |
| 2.რეალი | 28 | 17 | 8 | 3 | 52-20 | 59 |
| 3.სევილია | 28 | 14 | 8 | 6 | 41-29 | 50 |
| 4.სოსიედადი | 28 | 14 | 5 | 9 | 46-34 | 47 |
| 5.ხეტაფე | 28 | 13 | 7 | 8 | 38-27 | 46 |
| 6.ატლეტიკო | 28 | 11 | 13 | 4 | 32-22 | 46 |
| 7.ვალენსია | 28 | 11 | 10 | 7 | 39-40 | 43 |
| 8.ვილიარეალი | 28 | 12 | 5 | 11 | 45-38 | 41 |
| 9.გრანადა | 28 | 12 | 5 | 11 | 35-33 | 41 |
| 10.ბილბაო | 28 | 9 | 11 | 8 | 30-24 | 38 |
| 11.ოსასუნა | 28 | 8 | 11 | 9 | 35-39 | 35 |
| 12.ლევანტე | 28 | 10 | 4 | 14 | 33-41 | 34 |
| 13.ბეტისი | 28 | 8 | 9 | 11 | 38-45 | 33 |
| 14.ალავესი | 28 | 8 | 8 | 12 | 29-39 | 32 |
| 15.ვალიადოლიდი | 28 | 7 | 11 | 10 | 25-34 | 32 |
| 16.ეიბარი | 28 | 7 | 6 | 15 | 28-44 | 27 |
| 17.სელტა | 28 | 5 | 11 | 12 | 22-35 | 26 |
| 18.მალიორკა | 28 | 7 | 4 | 17 | 28-48 | 25 |
| 19.ლეგანესი | 28 | 5 | 8 | 15 | 22-41 | 23 |
| 20.ესპანიოლი | 28 | 5 | 8 | 15 | 25-46 | 23 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-ხიხონი ... 0:0
მირანდესი-ნუმანსია ... 2:1
ალბასეტე-ალმერია ... 0:1
კადისი-რაიო ... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-ვოლფსბერგერი ... 2:1
ჰარტბერგი-შტურმი ... 1:2
ზალცბურგი-ლინცერი ... 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-აეკი ... 0:2
ოლიმპიაკოსი-არისი ... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქონია ... 2:1
გაზიანთეპი-ანკარაგიუჯიუ ... 1:1
რიზე-გალათასარაი ... 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი 1905-იაბლონეცი ... 3:0
კარვინა-ბოლესლავი ... 2:2
ოპავა-ჩესკე ... 2:0
სიგმა-პლზენი ... 0:1
სლავია-ზლინი ... 1:0
ლიბერეცი-ბანიკი ... 0:0
სლოვაცკო-სპარტა ... 0:2
ტეპლიცე-პრჟიბრჟამი ... 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ვისლა ... 0:0
გურნიკი-ლეგია ... 2:0
კორონა-ლეხი ... 0:3
კრაკოვია-პლოცკი ... 1:1
პოგონი-ლეხია ... 1:1
ჩენსტოხოვა-ზაგლებიე ... 2:1
სლასკი-ლოძი ... 4:0
იაგელონია-პიასტი ... 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კოლოსი-შახტარი ... 0:1
ოლექსანდრია-დესნა ... 1:5

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-მიდტიულანდი ... 0:2
ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ... 1:1
ბრონდბიუ-ორხუსი ... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სირიუსი-დიურგარდენი ... 0:2
გიოტებორგი-ელფსბორგი ... 0:1
ნორჩიოპინგი-კალმარი ... 2:1
ჰამარბი-ესტერსტუნდი ... 2:0
იორებრო-აიკი ... 0:2

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისათვის; 5. წითელი, ძვირფასი ქვა; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. აკვიატებული შიში; 16. თეთრი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი რაგბისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. საშობაო სიმღერა; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. რუსეთის პარლამენტი.

**თარაზულად**: 7. თეთრყუძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობები; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. კანიონი ხონის რაიონში; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტთათვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა საგვარეულო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიყუში; 2. პარასოლი; 3. იამაჰა; 4. ქსანი; 5. ჰანიბალი; 8. „ბახთიარი“; 12. „ლელო“; 13. ფონეტიკა; 14. მდოგვი; 16. ჭიკარტი; 18. ქარვა; 20. ტუბა.

**თარაზულად:** 6. „მალპენსა“; 7. არაბესკა; 8. ბაწარა; 9. ჯუნტა; 10. სოლოლაკი; 11. წყალბადი; 15. კოპერფილდი; 17. „ყოჩები“; 19. ვიქტორინა; 21. ლიქიორი; 22. „ბაქშტაინი“; 23. „ჰამლეტი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დორსე; 2. წყალი; 3. გოლეული; 4. ეტნა; 5. იაგო; 6. „ამსტელი“; 9. მარკშეიდერი; 10. „ქიმერიონი“; 11. „ლივერპული“; 14. ცეკვა; 16. ტაიჭი; 18. „მაესტრო“; 20. ლაშქარი; 23. პერო; 24. გორდი; 25. ბლუზი; 26. თუნი.

**თარაზულად:** 7. კონდიტერი; 8. ფანატიზმი; 12. გურია; 13. პირეი; 15. „ნოკია“; 17. კასტელანი; 19. იუდეა; 21. „ლეონი“; 22. ფლეში; 27. პროკურორი; 28. ფურნიტურა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.0401 |
| ევრო | — 3.4387 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.8351 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.3561 |

## ამინდის პროგნოზი 16 ივნისისათვის




## სოფი მეშველიშვილმა „მასტერშეფი“ დატოვა



„მასტერშეფს“ მეორე საკონკურსო ტურიდან სოფი მეშველიშვილი გამოეთიშა. ჟიურის გადაწყვეტილებით, სწორედ ის გახდა გავარდნის კანდიდატი.

საკონკურსო ტურის დაწყებამდე „მასტერშეფის“ მონაწილეებს პროექტის ხელმძღვანელებმა სიურპრიზი მოუმზადეს. მათი პორტრეტები თეფშებზე ამობეჭდეს და ყუთებით მაგიდებზე დაახვედრეს. ყველა მონაწილეს სხვადასხვა კონკურსანტის გამოსახულებიანი თეფში შეხვდა.

მეორე ტურში იმუნიტეტი ქეთო ბექაურმა და ნინი სტურუამ მოიპოვეს. დარჩენილი მონაწილეები კი ჟიურის წევრებმა სამ გუნდად დაყვეს: წითელ გუნდში მოხვდნენ: რამილია ალიევა, სოფი მეშველიშვილი და სერგო ოვჩარენკო. თეთრ გუნდში მოხვდნენ: იანა კუცი, ზურა ხოკერაშვილი და ანნა კუჭავა, ლურჯი გუნდის წევრები კი გახდნენ: თემო ქაქუჩაია, ნინიკო ღამბაშიძე და პაატა ჭონიაშვილი.

კონკურსის მეორე ტურში ჯგუფები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ყველაზე სუსტ სამეულად წითელი გუნდი დასახელდა, პროექტს კი სოფი მეშველიშვილი გამოეთიშა.

## ეკატერინე ანდრონიკაშვილი კულტურის გაცოცხლებას ითხოვს



მსახიობი ეკატერინე ანდრონიკაშვილი საქართველოს მთავრობას კულტურის გაცოცხლების თხოვნით მიმართავს:

– იქნებ მოახერხოთ, რომ შემოდგომიდან ისევ გააცოცხლოთ კულტურა და მისი სფეროები, რადგან ეს თითქმის ერთადერთია, რითიც საქართველომ, როგორც ქვეყანამ, შეიძლება იამაყოს და განსხვავებული იყოს, თორემ მძიმე ინდუსტრიით, ვერც მსუბუქით, ჩვენ ვერავის გავაკვირვებთ და, სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობითაც, სხვა ბევრ სფეროზე რომ არაფერი ვთქვათ.

გარდა ამისა, სულიერი საზრდოა ეს ქართველებისთვის, აქამდე რომ მოვედით, ამ სულიერების დამსახურებაა და ესეც რომ მოსპოთ, რაღა იქნება გადასარჩენი? მასლოუს პირამიდის ქვედა საფეხურზე კი, გასაგებია, მხოლოდ ლუკმაპურსა და გადარჩენაზე ვიფიქრებთ და ჭექა-ქუხილის და კორონასი შეგვეშინდება, მაგრამ აქამდე მოგვიტანია რაღაცნაირად და თუ სულ უკან წაწიეთ, მაშინ თქვენ რატომღა დაგვჭირდებით? ან რა იქნება ეს ქვეყანა?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ოჯახმა რესტორანში ისადილა. ქმარმა ფული გადაიხადა, ხოლო ამ დროს ცოლი ოფიციანტს ეუბნება:

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, მორჩენილი საჭმელები სახლში რომ წავუღოთ ჩვენს ძაღლს?

– დიახ, რა თქმა უნდა, რა პრობლემაა!

ამ დროს ბავშვებმა ერთხმად დაიძახეს:

–ვაშაა! ძაღლი გვეყოლებაა!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს.

– მაინც რომელს?

– დივანზე ვარ წამოწოლილი და ხელს არავის ვუშლი!

●●●

ბავშვს ეკითხებიან:

– ვინ გინდა, რომ გამოხვიდე, როცა გაიზრდები?

– დებილი!

– რატომ, დებილი?

– იმიტომ, რომ ყველა ამბობს: შეხედე, როგორი მაგარი სახლი და ბინა აქვს იმ დებილსო!

●●●

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, რატომაა გაზქურა ასეთი ჭუჭყიანი?

– მამაშენმა ერბოკვერცხი შეწვა.

– უტაფოდ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ზინედინ ზიდანი: „თამაშით კმაყოფილი დავრჩი“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ის ეიბართან მატჩით ძალიან კმაყოფილია და სურს, რომ მისმა გუნდმა ასე გააგრძელოს მომავალშიც. რეალმა ეიბარი საკუთარ მოედანზე 3:1 დაამარცხა.

– ვაღიარებ, რომ პირველი ნახევარი უკეთესი გამოგვივიდა, ვიდრე მეორე, მაგრამ საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვარ. მომავალ შეხვედრებში შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, რადგან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ყველა ქულა მნიშვნელოვანია, – განაცხადა ზიდანმა.

აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი მადრიდელებმა შეხვედრის პირველ ტაიმში გაიტანეს.

## ჩელსიმ კავანის ყიდვა გადაიფიქრა



ლონდონის ჩელსიმ ედისონ კავანის ყიდვა გადაიფიქრა და ეს გადაწყვეტილება პირადად ფრენკ ლამპარდმა მიიღო. ბოლო თვეების მანძილზე კავანის ჩელსიში ტრანსფერის თაობაზე ხშირი იყო საუბრები, მაგრამ საბოლოოდ, როგორც ჩანს, ედისონს პსჟ-ში დარჩენა მოუწევს, რისი გაკეთებაც მას არ სურდა.

ერთი პერიოდი კავანით ატლეტიკო და მილანის ინტერი იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ეს ტრანსფერები ასევე ჩაიშალა. კავანი პსჟ-ში 2013 წლიდან თამაშობს.

## ტიაგო სილვა შესაძლოა ევერტონში გადავიდეს




პსჟ-ს ბრაზილიელი მცველი ტიაგო სილვა დიდი ალბათობით ზაფხულში პსჟ-ს დატოვებს, რადგან მას გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება და ჯერჯერობით მისთვის ახალი კონტრაქტი არ შეუთავაზებიათ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტიაგო სილვა შესაძლოა ლონდონის ევერტონის ფეხბურთელი გახდეს და ინგლისური გუნდი მას ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

ევერტონის მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტია, რომელიც ტიაგო სილვას კარგად იცნობს, რადგან ის პსჟ-ში მუშაობდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ბელგიის პრინცს, წვეულებაზე ყოფნის დროს, კორონავირუსი შეეყარა



ესპანეთში სტაჟირებაზე მყოფი ბელგიის პრინცი იოაჰიმი რამდენიმე წვეულებას დაესწრო და კორონავირუსით დაინფიცირდა.

პრინცესა ასტრიდ ბელგიელის და ერცჰერცოგ ლორენც ავსტრიელი-ესტეს 28 წლის შვილი გაზაფხულის ბოლოს სტაჟირებაზე ანდალუსიაში, ქალაქ კორდობაში იმყოფებოდა. იქ პრინცი რამდენიმე წვეულებაზე იმყოფებოდა და ერთ-ერთი მათგანის შემდეგ, რომელიც კერძო სახლში გაიმართა, თავი შეუძლოდ იგრძნო. მან კორონავირუსის ინფექციაზე ტესტი გაიარა და ორი დღის შემდეგ გაიგო, რომ დაინფიცირებული იყო. ვინაიდან იმ დროისთვის ესპანეთში მხოლოდ ისეთი ჯგუფების შეკრება იყო ნებადართული, რომელშიც სტუმრების რაოდენობა 15 ადამიანს არ აღემატებოდა, ხოლო იმ წვეულებას 27 ადამიანი ესწრებოდა, ის თვითიზოლაციის რეჟიმის დარღვევაში დამნაშავედ ცნეს და ჯარიმის სახით 10,4 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს. პრინცი იოაჰიმის თქმით, ის ინანიებს საკუთარ ჩადენილ ქმედებას და ჯარიმას სრულად გადაიხდის.

## მოდელმა ფოტოსურათები ცნობილი ჟურნალის ბერძნული ვერსიისთვის გადაიღო

Victoria,s Secret-ის ყოფილმა „ანგელოზმა“, ბრაზილიელმა მოდელმა ალესანდრა ამბროსიომ ჟურნალ Elle-ს ბერძნული ვერსიისთვის ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მისი ფოტო ინსტაგრამში მისსავე გვერდზე გამოქვეყნდა.




გამოქვეყნებულ ფოტოზე მოდელი ზღვის ფონზე პოზირებს და გამოწყობილია მწვანე-ნეონისფერ დამოკლებულ ლონგსვილსა და შავი ფერის ბიკინი-ტრუსიკში. ამ ყველაფერს ასევე შავი ფერის მზის სათვალეები ემატება.

– საზაფხულო განწყობა, – დაწერა მოდელმა საკუთარი ფოტოსურათის კომენტარში.

## თვითიზოლაციაში კორტნი კარდაშიანი გასუქდა და ძველი ფოტოსურათი გამოაქვეყნა



ტელევარსკვლავის და მეწარმის კიმ კარდაშიანის უფროსმა დამ კორტნიმ აღიარა, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო შემოღებული თვითიზოლაციის რეჟიმის დროს გასუქდა და ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე თავისი ძველი ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელშიც საცურაო კოსტიუმში გამოწყობილია აღბეჭდილი. გამოქვეყნებულ ფოტოზე რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ 41 წლის მონაწილე საკუთარი სახლის აუზთან მზის სათვალეებით და შავი ფერის თეთრ არშია შემოვლებული ბიკინით პოზირებს.

– ვინაიდან სხეულის მოწესრიგება და ჩვეულ ფორმაში დაბრუნება ერთ ღამეში შეუძლებელია, სამი საშინაო ვარჯიში მოგიმზადეთ, რომლის წყალობითაც თქვენ სწრაფად ჩადგებით ფორმაში და ცურვის სეზონისთვის თავს შესანიშნავად იგრძნობთ, – დაწერა კომენტარში კორტნიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი



16 ივნისისათვის

**ვერძი** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა; 2. სამხედრო ნაწილის მღვდელი; 3. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი, ცეცხლგამძლე თიხა; 4. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება; 12. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 16. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 18. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

**თარაზულად**: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ფულის ერთეული ყაზახეთში; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. მდგომარეობა ჭიდაობაში; 15. ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი; 17. ხიდის საყრდენი ბურჯი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ზურგის ტვინის ანთება; 22. ყველაზე დაბალი ქალის სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

